# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 აპრილი, 2012 წელი.

№76 (6953)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ხინკლაობიდან ტერიტორიულ თავდაცვამდე,



ანუ ვის უნდა დაეტაკოს ყელში რეზერვი? 3

## ვინ ვინ მოატყუა, ტრამპმა სააკაშვილი თუ — პირიქით?



4

## ჯუნგლებში დაბადებულნი



ნოდარ ჯავახიშვილი:

ჩემი ალალი ძმისშვილი არის გიორგი ქადაგიძის ალალი მამიდაშვილი 6

## ჩერქეზთა და სომეხთა გენოციდის აღიარება და ცემა-ტყეპა პარლამენტში 2

## სამი რამ... 5

რატომ შეუტია ევროპის თითქმის ყველა დიდი და პატარა ქვეყნის დიპლომატს, ვითომ შემთხვევითია? ჰილარი კლინტონს ვითომ არ ეცოდინება რა აქვს მასზე ნათქვამი, ამ პირმოხეულ კაცს?

## ბათუმში „ლონდონი“ დაანგრიეს! 2

## შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესი და პირობები 9

## რუსეთელებს ვერავინ დაარწმუნებს, რომ ქართველები კაციჭამიები არიან 8



SIC!



# ბათუმში „ლონდონი“ დაანგრიეს!

**სულხან ოქროპირიძე, რომელიც აჭარაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს მონიტორინგს უწევს, „პირველთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ბათუმში XIX საუკუნის კულტურის ძეგლის სასტუმრო „ლონდონის“ ჩამონგრევა არაპროფესიულად ჩატარებულმა გაწმენდითმა სამუშაოებმა გამოიწვია“.**

— 21 მარტს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წერილი მივწერეთ და სასტუმრო „ლონდონში“ მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოვითხოვეთ, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ სამუშაოებს არაპროფესიონალები ასრულებდნენ, მათი დაუდევრობის გამო ძეგლს საძირკველი გამოაცალეს, რამაც სასტუმროს ჩამონგრევა განაპირობა, თუმცა ოფიციალური ინფორმაციით, შენობის დანგრევა ძლიერმა ქარმა გამოიწვია. როცა შენობას საძირკველს უთხრიან, ეს უკვე გაწმენდითი სამუშაო აღარ არის და ამას სპეციალური ნებართვა სჭირდება, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უნდა გაეცა. ასევე დაირღვა კანონი, რადგან სასტუმროსთან სპეციალური სამშენებლო დაფა განთავსებული არ იყო, რომელზეც მშენებელ კომპანიას, ნებართვის ნომერს და ა.შ. ამოიკითხავდით, — განაცხადა ოქროპირიძემ.

მისივე ინფორმაციით, ის ტერიტორია, რომელზეც სასტუმრო „ლონდონი“ იყო განთავსებული, თურქულმა კომპანიამ შეისყიდა და იქ ახალი სასტუმროს აშენებას გეგმავს.

— ეს ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ აქციაზე, რომელიც სასტუმროსთან მოვაწყვეთ, ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. მათ განაცხადეს, რომ სასტუმრო „ლონდონის“ ადგილას უკეთესი აშენდებაო. სასტუმროს ჩამონგრევა დაახლოებით, დღის 2 საათზე მოხდა, მერმა კი დარჩენილი ფასადის დანგრევის გადაწყვეტილება იქვე მიიღო და საღამოს უკვე აღნიშნული ტერიტორია მთლიანად მიწასთან გაასწორეს“, — განაცხადა ოქროპირიძემ.

მისივე თქმით, ბათუმელები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურისთვის მიმართვას გეგმავენ.

— იმ პირების მიმართ, ვინც სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას, — აღნიშნა ოქროპირიძემ.

ვითარებაში გარკვევის მიზნით „პირველი“ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაუკავშირდა.

სააგენტოს დირექტორის თენგიზ ცინცაძის განცხადებით, ამჟამად ექსპერტიზა და მოკვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს, რის შედეგადაც გაირკვევა, რამ გამოიწვია შენობის ჩამონგრევა.

— სასტუმრო კერძო საკუთრებაშია. ჩვენმა სააგენტომ მესაკუთრეს უამრავი წერილი მისწერა და მასთან სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებაზე მოლაპარაკებებს ვმართავდით. ჯერჯერობით მხოლოდ გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებაზე ნებართვა გაცემული არ იყო. შენობა ძალიან ძველი იყო და მას უამრავი პრობლემა ჰქონდა, თუმცა მისი ჩამონგრევის მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს, — განაცხადა ცინცაძემ.

მისივე თქმით, ძველი სასტუმროს ადგილას ახალი შენობა აშენდება, თუმცა მას პირვანდელი, ისტორიული სახე სრულიად შეუნარჩუნდება.

— შემორჩენილი ნახაზების მიხედვით შენობა იმავე სტილისა და არქიტექტურის იქნება, — აღნიშნა ცინცაძემ.

ცნობისთვის, ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ მე-19 საუკუნის ბოლოს აშენდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში „ლონდონი“ პირველი კლასის სასტუმრო იყო.

**ნათია რუხაძე**

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადება

# „ფეისბუქში“ არსებული პროფილები ყალბია...

**გასულ კვირას ქართულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, ეკატერინე ხვედელიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული პროექტების სია.**

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძეს არ გააჩნია საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში. „ფეისბუქში“ არსებული პროფილები ყალბია და გახსნილია როგორც მის მხარდამჭერთა, ისე მოწინააღმდეგეთა მიერ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გვერდები ემსახურება სრულიად გაურკვეველ პირთა ინტერესებს და ატარებს აშკარად გამოხატულ პროვოკაციულ ხასიათს.

როგორც ცნობილია, სოციალური ქსელის პოპულარიზაციასთან ერთად იზრდება ყალბი პროფილების რაოდენობა. ამიტომ, მედიის წარმომადგენლებს ვთხოვთ, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმონ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოსთან.

პრესკონფერენცია

# „თავისუფალი საქართველო“ საარჩევნო შტაბებს აყალიბებს

**გუშინ კინოს სახლში პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თბილისის ორგანიზაციების კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას პარტიის 19 რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა.**

განიხილეს საარჩევნო შტაბების ჩამოყალიბების საკითხი. პარტიის თავმჯდომარის კახა კუკავას განცხადებით, ისინი არჩევნებამდე გეგმავენ ხელისუფლების დამარცხებას.

„თავისუფალმა საქართველომ“ პარტიის პროგრამა გააცნო საზოგადოებას: არა — ნატოს, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა; სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება, და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა; შევარდნაძის და სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა — უფროსი თაობის რეაბილიტაცია: საყოველთაო ამნისტია; ჯანმრთელობის 100-პროცენტიანი დაზღვევა; საბანკო ვალების გადავადება; მიწა, საძოვარი და ტყე — გლეხებს, ეროვნული წარმოების მხარდაჭერა; დაბრუნება რუსეთის ბაზარზე; ეროვნული და მართლმადიდებლური სახელმწიფოს მშენებლობა.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრთა თქმით, ეს ის გეგმაა, რომელიც ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს საზოგადოებას.

**გულნაზ გახარია**

კანონმდებლები

# ჩერქეზთა და სომეხთა გენოციდის აღიარება და ცემა-ტყეპა პარლამენტში

**პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასა და დეპუტატ აზერ სულეიმანოვს შორის ინციდენტი მოხდა. ჯონდი ბაღათურიამ საპარლამენტო ტრიბუნიდან პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება დანაშაულად შეაფასა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტში მისულები იყვნენ სომხეთის დიასპორის წარმომადგენლებიც და ისინიც ითხოვდნენ გენოციდის აღიარებას.**

სომხების გენოციდის აღიარების საკითხზე საუბრისას ჯონდი ბაღათურიასთან დეპუტატი აზერ სულეიმანოვი მივიდა და მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. სიტუაციის განმუხტვა სცადეს როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ისე უმრავლესობის წევრებმა და დაახლოებით 5 წუთის მანძილზე პარლამენტის პლენარული სხდომა გაწევ-გამოწევის ფონზე მიმდინარეობდა.

საბოლოოდ, დეპუტატებმა დაპირისპირებულები გააშველეს.

მარნეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აზერ სულეიმანოვმა ჯონდი ბაღათურიას სომეხი უწოდა და გვარიც „გადაუკეთა“. პარლამენტში მომხდარი ინციდენტის შემდეგ აზერ სულეიმანოვმა სიტყვით გამოსვლა მოითხოვა და ბაღათურიას „ბაღათურიანი“ უწოდა.

— ჩვენი სომეხი კოლეგა ბატონი ჯონდი ბაღათურიანი თავის სომხურ აზრზე დარჩა, — განაცხადა სულეიმანოვმა.

აზერ სულეიმანოვი დაინტერესდა, თუ რომელ გენოციდზე მიმდინარეობს საუბარი, როდესაც 1918 წელს სხვადასხვა აზერბაიჯანულ რეგიონებში სომეხმა ბანდიტებმა 60 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი დახოცეს?

სიტყვით გამოსვლა სომეხ დეპუტატ არმენიკ ბაინდურიანსაც სურდა, თუმცა ბაქრაძემ სიტუაციის განმუხტვის მიზნით, დეპუტატებს დებატებისგან და ამ საკითხზე სიტყვით გამოსვლებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.

არმენიკ ბაინდურიანმა მიკროფონის გარეშე მაინც სცადა, რომ აზერბაიჯანელი დეპუტატისთვის სომეხთა გენოციდის შესახებ რეპლიკა ესროლა.

გუშინ კი დაპირისპირება პარლამენტის სხდომათა დარბაზში მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტის ტრიბუნიდან სომხური დიასპორების მიერ გენოციდის აღიარების მოთხოვნაზე გააკეთა განცხადება და საქართველოს ხელისუფლებას ჩერქეზების გენოციდის აღიარებისთვის უსაყვედურა.

დეპუტატმა აზერ სულეიმანოვმა მას სხდომათა დარბაზიდან ერთ-ერთი ნივთი ესროლა და ჭიქის სროლაც მოინდომა, თუმცა მანდატურმა შეაჩერა. ბაღათურიამ კი სულეიმანოვს იგივე ნივთი უკან ესროლა.

საქართველოს პარლამენტთან საქართველოს „აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციის“ წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აზერბაიჯანელი სტუდენტები პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას განცხადებას აპროტესტებენ. სტუდენტები სკანდირებდნენ „ბაღათურია მოღალატე, ბაღათურია ხოჯალე, ბაღათურია ვაზელინი“. მათ შესაბამისი პლაკატებიც ჰქონდათ მოტანილი.



* * *

**სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე რამდენიმე მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივები პარლამენტმა ჩააგდო. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გამართულ კენჭისყრაზე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის კობა სუბელიანის პოსტიდან გადაყენების საკითხი 13 ხმით 64-ის წინააღმდეგ ჩავარდა.**

ამასთან, ამავე შედეგით ჩავარდა პრობაციის, სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ხათუნა კალმახელიძის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხიც.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## გამოძიებას ითხოვენ

**არასამთავრობო ორგანიზაციები ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიებას სთხოვენ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, კონსტიტუციის 42-ე მუხლმა, საზოგადოებრივმა დამცველმა, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა, ნორვეგიის, ჰელსინკის კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ პეტიცია შეადგინეს, რომელსაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს გადაუგზავნიან.**

**აღნიშნული პეტიცია გუშინ, საია-ს ოფისში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჟურნალისტებს გააცნეს.**

**როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების პეტიციაშია აღნიშნული, 2008 წლის მოვლენებიდან დღემდე სამ წელზე მეტია გასული, მაგრამ 2008 წელს განვითარებული მოვლენები გამოძიებული ჯერაც არ არის.**

**როგორც საია-ს თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, დაზარალებულთა სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე საჭიროა დროული რეაგირება, ვინაიდან ომის დროს მომხდარი ფაქტები აშკარად მეტყველებს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე. ჩუგოშვილის თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართველების ეთნოწმენდა და მათი ქონების განადგურება მოხდა. „გარდა ამისა, გამოსაძიებელია რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის ფაქტი, თუ ვინ იყო თავდამსხმელი მხარე“, — აღნიშნავს ჩუგოშვილი.**

№76. ოთხშაბათი, 25 აპრილი, 2012 წელი.

დღეები ჩვენი მღელვარებისა

# ხინკლაობიდან ტერიტორიულ თავდასცვამდე,

## ანუ ვის უნდა დაეტაკოს ყელში რეზერვი?



ბოლოს და ბოლოს, ნაწილ-ნაწილ, ბურუსში გახვეულად, მაგრამ მაინც გაცხადდა საქართველოს სამხედრო კონცეფცია – ომის (ომებისძ უტყუარად მოგების სტრატეგია და ტაქტიკა.

გამარჯვების უნივერსალური პროგრამა, როგორც ირკვევა, ეფუძნება არა სამივე სახეობის ჯარების სიძლიერეს, გაწვრთნილობასა და აღჭურვილობას, არამედ... რეზერვს.

ეს ექსკლუზიური კონცეფცია თურმე სულ რამდენიმე წლის წინათ იშვა და დამუშავდა ჩვენი ნაციონალური ხელისუფლების გონებაში, როგორც გენიალური თეორიისა და მძლავრი პრაქტიკის ორგანული სინთეზი.

თუ დაზუსტებულად ვიტყვით, ეს 2005-2007 წლებში მოხდა. ოღონდ მაშინ ნებაყოფლობით რეზერვში ძირითადად იწვევდნენ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რათა ქვეყნის მოსახლეობისთვის იმის თვალსაჩინო მაგალითი მიეცათ, რომ სამშობლოს სამსახურში და სამსახურისთვის ყველა თანაბარია, ყველა მოვალეა, პირველი ქართველი ლიტერატურული რეზერვისტის, ნოდარ დუმბაძის ზურიკელასი არ იყოს:

„თუ საჭირო შეიქმნება, მტერს მეც ყელში დავეტაკები“.

იყო დიდი რეკლამა, კამუფლაჟიანი ნუვორიშების მხედრული შემართების წარმომჩენი დაუღალავი ტელერეპორტაჟები, მაგრამ დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ყველაფერი ბლეფი და ფულის უმიზნო ფანტვა იყო.

მკითხველს ალბათ ახსოვს აღფრთოვანებული ტელეგადაცემა, თუ როგორ ჩაუტანეს რომელიღაც რაიონის ქვემძრომებმა რეზერვში მყოფ თავის გამგებელს 300 თუ 500 ცხელ-ცხელი ხინკალი ქვაბებით. მართალია მწვადსა და ღვინოზე არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ თავისთავად იგულისხმებოდა.

ასე ხინკლაობა-მწვადაობაში „მზადდებოდა“ რეზერვი ჩინოვნიკთაგან იმ საწყის ეტაპზე, თუმცა არც მერე ექნა ღმერთს.

ეს იყო წამხედურობისა და თვალში ნაცრის შეყრის ჩინებული კამპანია. იქამდეც კი, რომ თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჩვენი ფეხის ხმას აყოლილი წიკვინა გოგონებიც გაიჭრნენ ველად და „ქალთა ბატალიონი“ შექმნეს...

რეზერვის უმაქნისობა განსაკუთრებით 2008 წლის ომში გამოჩნდა. ის ვერ დაეტაკა მტერს ყელში. სრულ სიმართლეს თუ ვიტყვით, რეზერვმა კი არა, რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებულმა არმიამ ვერ ივარგა.

შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან 9 აპრილს, პარლამენტის ეზოში გამოსვლისას, პრეზიდენტმა მოკლედ მოჭრა: არიან ერები, რომლებიც ადვილად ეგუებიან მარცხს, თავისუფლების წართმევას. ჩვენ ასეთი ერი არა ვართო. არიან ერები, რომელთა მთავარი ლოზუნგია, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. ჩვენ ასეთი ერი არა ვართო(?!ძ.

ის აღარ უთქვამს, რატომო. არც ის, რომ ეს ანდაზა სწორედაც ქართულია და სწორედაც ბრძნულია და ყველა პატარა (დიდისაცძ ქვეყნისთვის სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს, თორემ ისე წაიმტვრევს კისერს, როგორც 2008 წელს წავიმტვრიეთ.

აგვისტოს ომის შემდეგ უკვე სავალდებულო რეზერვის მომზადებას მიეცა გზა ფართო (შესაბამისი პროგრამა 2010 წლის შემოდგომაზე ამოქმედდა და დღემდე მოქმედებსძ, როგორც ყველა წარმატების ნაცად ფორმულას.

ოღონდ გასული წლის ოქტომბრიდან ისევ ნებაყოფლობითი რეზერვის მომზადება გადაწყდა.

მოხალისეთა რეგისტრაცია უბრალოდ, ინტერნეტის მეშვეობითაც ხდებოდა, ხალხს სატელევიზიო რეკლამებით იწვევდნენ.

ყველაფერი მიედინებოდა წყნარად, უვნებლად, მამაპაპურად. რეზერვზე ხმამაღლა ლაპარაკი საერთოდ შეწყდა, თითქმის დავიწყებას მიეცა.

მაგრამ მოულოდნელად მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და რამაც ქვეყანა ააფორიაქა.

ახლახან, 15 მარტს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან შეხვედრისას „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი ალასანიამ ჭაობში ლოდი ისროლა. ხელისუფლება სამეგრელოში შეიარაღებულ დაჯგუფებებს ქმნის, სამოქალაქო ომის საფრთხე იკვეთებაო!

ალასანიას პირი დახურულიც არ ჰქონდა, რომ ნაციონალებმა უმალვე, მეორე დღესვე მძიმე არტილერია გამოაგორეს. პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა, რა ატამი, რი ატამისა არ იყოს, როგორ თუ რეზერვზე ეჭვი მიგაქვთო, თქვენ რომ სამოქალაქო ომის საფრთხედ გეჩვენებათ, ის დაჯგუფებები, სწორედაც რეზერვისტები არიან, იმ საფრთხის ასარიდებლად რომ იქმნებიან, არა მარტო სამეგრელოში, არამედ ქართლშიც, კახეთშიცო.

მაგრამ ირაკლი ალასანიამ უკან არ დაიხია და ცეცხლზე ნავთი დაასხა. ადგა და 20 მარტს „ნებაყოფლობით რეზერვში“ გაერთიანებული ერთობ საეჭვო პირების, რეზერვთან რომ არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეთ, და მათი საიდუმლო დისლოკაციის ადგილები სულ წვრილად ჩამოთვალა და ეს ნუსხა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიართვა.

იმავე დღეს უკვე თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ალასანია რომ რაზმებს ასახელებს, ის სწორედაც ნებაყოფლობითი რეზერვია და არა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებიო. მათ ელემენტარულ სამხედრო უნარჩვევებს ვასწავლით, ამ ეტაპისთვის 40 ათასი მოხალისე გვყავს, სამომავლოდ კი 100 ათასამდე რეზერვისტი გვეყოლებაო.

მინისტრის ნათქვამი უშიშროების საბჭომაც დაადასტურა – ინფორმაცია გაავრცელა სარეზერვო სამსახურის ახალი კონცეფციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბებულა რეზერვის ორი ძირითადი მიმართულება. პირველი – სახმელეთო ჯარების რეზერვი, რომელიც სავალდებულო იქნება (მისი ძირითადი ფუნქცია შეიარაღებული ძალების მხარდაჭერააძ;

მეორეა ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი, რომელიც ნებაყოფლობის საფუძველზე დაკომპლექტდება. მისი ძირითადი ამოცანა ტერიტორიის თავდაცვაა. ამას გარდა, ტერიტორიული თავდაცვის რეზერვის ფუნქციაში, ჯვარი გვწერია და კრიზისულ სიტუაციებში სამოქალაქო ხელისუფლებისთვის დახმარებაც შევა.

აქ ერთი წუთით შევისვენოთ.

უშიშროების საბჭომ სარეზერვო სამსახურის ამ ახალი კონცეფციის შესახებ ინფორმაცია ხელდახელ კი გამოაცხო, მაგრამ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს, ასე ვთქვათ, პოსტ ფაქტუმ გაკეთდა – ჯერ ტერიტორიული რეზერვი შეიქმნა (თუ ის, რაც შეიქმნა, მართლა სარეზერვო ჯგუფებიაძ და შემდეგ მისი სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება დაიწყო.

ანუ ირაკლი ალასანიამ სკანდალური განცხადება უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ მანამდე გააკეთა, სანამ რეზერვის ახალი კონცეფცია დაიწერებოდა.

ატეხილ დავაში ვინ არ გამოსცადა ენის სისხარტე და გაწვრთნილობა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, რაც უფრო მეტია ფიციმტკიცი, მით უფრო ნაკლებია მისი დამაჯერებლობა.

ბოლოს ხელთათმანი საქართველოს პრეზიდენტმა აიღო. 11 აპრილს საწარმო „დელტაში“ ყოფნისას ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენს პირსისხლიან მტერს რუსეთს სულ კანკალი დააწყებინა, როცა ქართული რეზერვის მიღწევებზე ილაპარაკა.

ყველა სოფელში, სადაც კი თავდაცვის სამინისტრო შევიდა, იქაური ზრდასრული მამაკაცები უკლებლივ ჩაეწერნენ რეზერვში. ამ ზაფხულსვე საქართველოს 70 ათასი ნებაყოფლობითი რეზერვისტი ეყოლება, გაისად კი – 150 ათასიო.

თუ ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა და მოხალისე სტრატეგების მიერ გამოთქმულ ყველა სარეზერვო დარგის სიბრძნეს შევკრებთ და გავცრით, გამოვა რომ ამ ხალხის მობილიზება ნიშნავს „ყველა ქალაქის, სოფლის, უბნის, კორპუსის დაცვას საკუთარი რაზმებით“.

დასაცავ ობიექტებში უთუოდ ის ბუჩქებიც იგულისხმება, რომლებშიც პატრიოტული ბანაკების გათქვირული გოგო-ბიჭები ჩასხდებიან ხოლმე პრეზიდენტის მამაშვილური რეკომენდაციით: „მოდი, აიწიე კაბა, მოდი, გავაკეთოთ რამე“...

ეს დამცავი რაზმები მშვიდობის ყველაზე მყარი გარანტიააო, საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს დაცვაზე ჩვენი ხალხის მეშვეობით უნდა იზრუნოსო – განმარტა პრეზიდენტმა.

და აქ მან სწორედ პრეზიდენტის საკადრისი ახალი გენიალური მიგნება გააკეთა, რამაც შეიძლება სრულიად შეცვალოს მეორე მსოფლიო ომის ისტორია: ფაშისტურმა გერმანიამ უარი თქვა შვეიცარიაში შესვლაზე, რადგან შვეიცარია ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელსაც კარგი რეზერვისტთა სისტემა ჰქონდაო.

ახლა გასაგები ხდება რატომ გაბედა ცოფიანმა ფიურერმა ომი სსრ კავშირთან – სტალინს რეზერვისტები არ ჰყავდა.

აქედან ისიც გასაგები ხდება, თუ რატომ უბედავს თვითონ მიშა რუსეთს ასე გულდაჯერებულად გინებას ქართული რეზერვის აღმავლობის კვალდაკვალ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გამოკვეთილია რეზერვის დანიშნულება – საკუთარი სოფლის, კორპუსის თუ ბუჩქის დაცვა, მაგრამ არავინ აღარაფერს ამბობს ადრე ფართოდ რეკლამირებულ მის კიდევ ერთ ფუნქციაზე – სტიქიური უბედურების დროს დახმარებაზე. რაღაც არავის დასცდენია, როგორ წვრთნიან რეზერვისტებს წყალდიდობის თუ მეწყერების დროს მოსახლეობის დახმარებისთვის!

თფუ, თფუ, თფუ, რეზერვს ჯვარი სწერია და დაუვიწყარი „მხედრიონის“ ბაზაზე ამოწვერილი „მაშველის“ პროგრამაში სწორედ ეგ იყო ხაზგასმული – მოსახლეობის დაცვა-დახმარება მსოფლიო წარღვნისა და მეორედ მოსვლის ჟამს.

მაგრამ ყველას დღემდე კარგად ახსოვს მხედრიონელთა თავგადაკლული ღვწა, არა წყალწაღებულთა და მთიდან ზარად ზვავით ჩამოტანილთა დასახსნელად, არამედ, დალი ჰასანივით საძარცვავად.

ისე რომ, საზოგადოების შიშს, რეზერვი შეიძლება ხალხის წინაალმდეგ, ანუ უშუალოდ ხელისუფლების ინტერესების დასაცავად გამოიყენონო, საფუძველი უთუოდ აქვს.

ზოგიერთ ექსპერტს უჭირს გადაჭრით თქმა, არის თუ არა რეზერვით შეჯავშვნა სამოქალაქო ომისაკენ მიმართული პროცესი, თუმცა როდესაც იქმნება რაღაც ჯგუფები, იარაღდება და მზად არის ხელისუფლების დავალებით ეს იარაღი თანამოქალაქეებს მიუშვიროს მარტო იმიტომ, რომ მათ ჩაუნერგეს, ეს თანამოქალაქეები რუსეთის მიერ არიან მართულნიო, რა თქმა უნდა, კატასტროფა და სამოქალაქო დაპირისპირება იქნება (კახი კახიშვილიძ.

თუ ეს ასე არ არის, ხელისუფლებას, ვრცელი და ბუნდოვანი რიტორიკის ნაცვლად, მოუწევს მიუკიბ-მოუკიბავად განუმარტოს ხალხს – მაშინ, როდესაც მას რეზერვი არ სჭირდებოდა 2009 ან 2010 წელს, რისთვის დასჭირდა ასე ცოფქმნილად დღეს, თანაც ახლებური, ანუ – არა უბრალოდ 15-დღიანი, არამედ განსხვავებული ფორმისა, რაღაც გაურკვეველი ტერიტორიული დაცვისა, რომელშიც რატომღაც უხვად ხვდებიან წარსულში მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, „ნახიშტარი“ ადამიანები.

სანამ ეს ამომწურავი, და რაც მთავარია, მართალი განმარტება არ იქნება, მანამდე დარჩება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება ამ რეზერვისტთა სახით შეიარაღებულ მუშტს, საიდუმლო ფარს ამზადებს საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ალეკო ასლანიშვილი

ინფორმაცია

## ჩაკეტავენ თუ არა სამი წლით როკის გვირაბს?



დღეიდან როკის გვირაბში ორი კვირის მანძილზე მონიტორინგი განხორციელდება, რომლის მიხედვითაც, მიიღებენ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია თუ არა გვირაბის 3 წლით ჩაკეტვა.

ოსური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა.

მისი თქმით, ამ პერიოდის განმავლობაში ავტოტრანსპორტი დამხმარე, ტექნიკური გზით გადაადგილდება, რომელიც გვირაბის პარალელურად მდებარეობს.

სპეციალისტების განცხადებით, როკის გვირაბი რეაბილიტაციას საჭიროებს, თუმცა მისი 3 წლით დაკეტვა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

ინტერპრესი

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ორდენით უცხოელებს იშვიათად აჯილდოვებს, მაგრამ ტრამპისთვის ბრწყინვალების ორდენის გადაცემა დიდი პატივია, რადგან იგი არასდროს უშინდებოდა დაბრკოლებებს და რისკზე მიდიოდა.**

**„დონალდ ტრამპის ჩამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ანალიტიკური ცენტრის ან პოლიტოლოგის გამოკვლევა, რომ საქართველო ადგას წარმატების გზას. 80-მილიონიანი თურქეთის გარდა, კონტინენტურ ევროპაში საქართველო ერთ-ერთია, სადაც ტრამპი თავის პარტნიორებთან ერთად ავითარებს თავის კომერციულ, საცხოვრებელ და სასტუმრო ცენტრს. ტრამპი მსოფლიო მასშტაბით წარმატებისა და ბრწყინვალების მართლაც განსაკუთრებული ნიმუშია. ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ამ ორდენის თქვენთვის გადმოცემა“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ტრამპმა კი პრეზიდენტს დაჯილდოებისთვის მადლობა გადაუხადა.

**„პრეზიდენტო, თქვენ დიდი შრომა გასწიეთ იმისთვის, რომ დღეს ჩვენ აქ ვყოფილიყავით. თქვენ ოთხი წლის წინათ დაიწყეთ ამაზე მუშაობა, როდესაც დამირეკეთ და მითხარით, რომ მსოფლიოში ბევრი რამე გავაკეთე და გსურთ, რომ საქართველოში ჩამოვსულიყავი. შემდეგ კიდევ დამირეკეთ. მაიკლ კოენი და გიორგი რამიშვილი — ჩვენ ორი დიდი პარტნიორი გვყავს, რომელიც ფანტასტიკურ სამუშაოს ასრულებენ. მე მიყვარს საქართველო და პატივს ვცემ ამ ქვეყანას. ეს ერთ-ერთი უსაფრთხო ადგილია მსოფლიოში“,** — განაცხადა ტრამპმა, რომელმაც თვითმფრინავიდან დაინახა, რა გასაოცარი მშენებლობები მიმდინარეობს საქართველოში.

ტრამპის საქართველოში ჩამოსვლა, მსოფლიოს მასშტაბით ყველა ინვესტორისთვის მწვანე შუქია საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად, ტრამპი ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახეა საერთაშორისო ბიზნესგარემოში. ასე შეაფასა ამერიკელი მილიარდერის საქართველოში ჩამოსვლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ.

**ცოტა უცნაურია, მაგრამ ტრამპი საქართველოში ფულის დახარჯვას რომ არ აპირებს, დიდი ხანია, ცნობილია. ამასთან, ტრამპის ინვესტიციების შესახებ ამერიკაში ნაკლებად არის ცნობილი. თუმცა ამერიკული მედიის ინფორმაციით, ცნობილი ტელეწამყვანი და უძრავი ქონების მაგნატი, ძირითადად ინვესტიციების ჩადებით კი არა, საკუთარი სახელის გაყიდვით არის დაკავებული. დღეისთვის ტრამპის სახელი ეწოდება ერთ-ერთ ტელეარხს, გოლფ კლუბს, ოქროს ნაკეთობებს, წიგნს, შოკოლადს და არაყს. პირველად ტრამპის სახელი ორ ცათამბჯენს დაერქმევა და ისიც, საქართველოში.**

ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გასული წლის 11 მარტს გაფორმდა, ტრამპის ბრენდით აშენდება სასტუმროები თბილისსა და ბათუმში.

ბათუმში „ტრამპ თაუერის“ პროექტი არქიტექტურული ფირმა John Fotiadis Architect — ის მიერ არის შემუშავებული. თანამედროვე 47-სართულიან შენობაში 80-დან 700 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ბინები განთავსდება, რომლებსაც ხედები შავი ზღვის სანაპიროსკენ ექნება.

თბილისში სავარაუდოდ სახელი გადაერქმება „რედისონ ბლუს“, იგივე „ივერიას“, ან მის მოპირდაპირე მხარეს აშენდება ახალი სასტუმრო. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ფულს იშოვნიან „ზარალა“ და „ტილიკა“.

2011 წლის 10 მარტს უძრავი ქონების მაგნატმა დონალდ ტრამპმა და „სილქ როუდ ჯგუფმა“ ხელშეკრულება გააფორმეს. მიხეილ სააკაშვილი ბედნიერი იყო იმით, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ტრამპთაუერები აშენდებოდა.

**ხელისუფლებამ მეორე დღესვე გვამცნო, რომ ამერიკელი მილიარდერი 250 მილიონდოლარიანი ინვესტიციით შემოვიდა საქართველოში. იმავე დღეს ამერიკულ მედიაში გახმაურდა, რომ დონალდ ტრამპი ფულის ჩადებას არ გეგმავს, რადგან ხელშეკრულება „სილქ როუდ ჯგუფისთვის“ „ტრამპის“ ბრენდის მიყიდვას ითვალისწინებდა.**

**მოკლედ, სასტუმროებსა და კაზინოებს ბათუმში „სილქ როუდ ჯგუფი“ აშენებს საკუთარი ფულით, ხოლო ტრამპისგან მიიღებს უფლებას ამ შენობებს მისი სახელი, „ტრამპი“ დააწეროს.**

ეს ამბავი შარშანვე ცნობილი იყო, საქართველოს მთავრობა კი ისევ ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ ქვეყანაში ამერიკული ინვესტიციები შემოდის.

**ვიდრე ტრამპის ისტორიაზე გადავიდოდეთ, ცოტა რამ იმ ქართული კომპანიის შესახებ, რომელმაც, სავარაუდოდ, 5 მილიონი დოლარი „ტრამპის“ ბრენდის შეძენაზე დახარჯა.**

**თავის დროზე „სილქ როუდ ჯგუფი“ ყოფილმა მხედრიონელებმა გიორგი რამიშვილმა, იგივე „ზარალამ“ და ლევან კაჭარავამ, იგივე „ტილიკამ“ შექმნეს.**

როგორც ცნობილია, კაპიტალი შევარდნაძის პერიოდში გადაზიდვებიდან დააგროვეს, შემდეგ, ბიზნესი გააფართოვეს და შუა აზიის გარდა ავსტრიაშიც შეაღწიეს.

ცნობილია, რომ „ზარალა“ და „ტილიკა“ 90-იან წლებში დაუახლოვდნენ ყაზახეთის ბიზნესკლანებს, კერძოდ, ნაზარბაევის სიძეს თემურ კულიბაევს და ყოფილ მინისტრსა და „ბტა“ ბანკის ყოფილ მმართველს, მუხტარ აბლიაზოვს, რომელიც საერთაშორისო თაღლითადაც არის ცნობილი.

ოთხეულმა სააკაშვილის მმართელობისას საქართველოში „ყაზმუნაიგაზი“ და „ბტა“, იგივე ბანკი ტურან ალემი შემოიყვანა და საქართველოში „სილქ როუდ ჯგუფი“ დააფუძნა. „სილქ როუდ ჯგუფმა“ ყაზახური ინვესტიციების სახელით შეიძინა „თბილგაზი“, „გაერთიანებული ტელეკომი“ ბათუმის ტერმინალი და ნავთოგადამამუშავებელი ქარხანა, თბილისის იპოდრომი, სასტუმროები თბილისში ბათუმსა და ლიკანში.

მათვე დააფუძნეს „სილქ როუდ ბანკი“. ყაზახებმა 2008 წლის ომის შემდეგ საქართველო დატოვეს. გავრცელებული ინფორმაციით „ტილიკა“ კომპანია „მულტიპლექს სოლუშენის“ თანამფლობელიცაა, რომელიც, თავის მხრივ, „თბილისის წყლის“ მესაკუთრეა.

**როგორც ამბობენ, შევარდნაძის დროს ბიზნესმენად ქცეული მხედრიონელები სააკაშვილის ბიზნესელიტაში ნიკა რურუას წყალობით მოხვდნენ, რომელიც „ტილიკას“ და „ზარალასთან“ მეგობრობის გარდა, „ვერის საძმოს“ წევრადაც არის ცნობილი საზოგადოებისთვის.**

# ვინ ვინ მოატყუა, ტრამპმა სააკაშვილი თუ — პირიქით?



ცოტა უცნაურია, როდესაც აქ, საქართველოში ასეთი გაქანებისა და სიმდიდრის მქონე ბიზნესმენები ჰყავს სააკაშვილს, ამერიკელი მილიარდერები რაში სჭირდება, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრამპი ამერიკაშია თაღლითობით განთქმული, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდებული ტანდემიც შედგა გასული წლის 10 მარტს.

სხვათა შორის, თავად ტრამპმა განაცხადა, რომ საქართველოში ბევრი მილიარდერია და ამ სასტუმროებს მათთვის აშენებდა. მიზეზი კი ის გამხდარა, რომ თურმე, საქართველოს პრეზიდენტით მოხიბლულა. **მოიხიბლა თუ არა ქართული ეკონომიკით, ძნელი სათქმელია, რადგან ეს არის ქვეყანა, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე სულ რაღაც 4 400 აშშ დოლარია, ეს არის ქვეყანა, სადაც მშპ ყველაზე დაბალია ამიერკავკასიაში.**

მერე ისიც გაირკვა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ ხელშეკრულებისთვის დიდი შრომა გასწია და ტრამპს ორჯერ ეწვია ნიუ-იორკის შტაბბინაში.

**ვინ არის დონალდ ტრამპი, ამერიკაში კარგად იციან, შევეცდებით მის შესახებ მოკლედ ქართველ მკითხველსაც მოვუთხროთ.**

**დონალდ ტრამპი მდიდარი, ქარიზმატული, სკანდალური ბიზნესმენია, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები აქვს. ცოტა ხნის წინათ აშშ-ს პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის დაყენებაზე სერიოზულად ფიქრობდა და წინასაარჩევნო კამპანიაც წამოიწყო.**

**სწორედ ამ წინასაარჩევნო კამპანიაში შედიოდა ობამას დაბადების ადგილისა და ამერიკის მოქალაქეობის ეჭვქვეშ დაყენება. შემდეგი თემა ობამას სწავლა-განათლებით დაინტერესება იყო.**

**ამბობენ, რომ ტრამპმა პრეზიდენტობა მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც ობამამ ერთ-ერთ დიდ წვეულებაზე საჯაროდ გააშავა.**

**ტრამპის არაორდინალურობაზე მეტყველებს მისი მოთხოვნები, მაგალითად, ის ითხოვს ჩინეთის დასჯას ვალუტის კურსის მანიპულირებისთვის, არაბული კარტელების მიმართ უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარებას, საზღვარგარეთ ძვირადღირებული ომების დასრულებას და ა.შ. რაც მთავარია, არად დაგიდევთ საკუთარ პოზიციებს და თუ დასჭირდა, იმ რეფორმის წინააღმდეგ წამოიწყებს კამპანიას, რომელსაც ცოტა ხნის წინათ მხარს უჭერდა. სწორედ მსგავს ფაქტებში ამხილა ობამამ საჯაროდ.**

**ტრამპმა უკვე განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბარაქ ობამას კონკურენტ რესპუბლიკელ ნიუტ გინგრიჩს უჭერს მხარს.**

**სენსაციების მოყვარული ტრამპით ბოლო დროს ამერიკული მედიაც დაინტერესდა და აღმოაჩინა, რომ ტრამპის უძრავი ქონების კომპანიის საქმიანობასა და სანდოობას ეჭვქვეშ აყენებენ.**

**ზოგჯერ ტრამპი მხოლოდ თავისი ბრენდის ლიცენზიას ყიდის და პროექტში ინვესტიციას არ ახორციელებს. მოკლედ, ამ კუთხით საქართველო პირველი არ არის, მაგრამ საინტერესოა, ვინ ვინ მოატყუა, ტრამპმა ქართველები, თუ — პირიქით.**

**მედიის ინფორმაციით, ტრამპი ოთხჯერ გაკოტრებულა. მილიარდერი ამას იმით ხსნის, რომ გაკოტრების კანონმდებლობით „ისარგებლა“ და ვალები აიცილა.**

**„ტრამპის უნივერსიტეტს“ ჯერ ლიცენზირების წესის დარღვევაში ადანაშაულებდნენ, შემდეგ კი ერთ-ერთმა სტუდენტმა უნივერსიტეტის მესვეურთა აღმაშფოთებელ სიხარბესაც გაუსვა ხაზი. სხვათა შორის ამ სტუდენტს ტრამპმა სასამართლოში უჩივლა.**

**რაც შეეხება საქართველოსა და ტრამპის ბიზნესგეგმებს, საბოლოოდ გაირკვა, რომ მართალია, მან შეთანხმებას ხელი მოაწერა და ცათამბჯენს მისი სახელი დაერქმევა, მაგრამ ქართველებს მშენებლობისთვის საჭირო სახსრების მოძიებაში დახმარებასაც დაჰპირდა. ასევე ცნობილია, რომ პროექტში, რომლის ბიუჯეტიც დაახლოებით 250 მილიონი დოლარია, საკუთარი ფულის ჩადება არ ისურვა.**

ამის მიუხედავად, მთავრობა ოპტიმისტურადაა განწყობილი და კომპეზური დახვედრაც მოუწყო, მარტო იმიტომ, რომ ამერიკელი მაგნატის ცნობადობა და მომხიბვლელობა პროექტისთვის კარგი რეკლამაა.

**„როდესაც ისეთი ადამიანი, როგორიც ტრამპია გადაწყვეტს, რომ საქართველო მისი ბრენდისთვის შესაფერისი ადგილია, მას უამრავი სხვა კომპანიაც ხალისით მიბაძავს“,** — გვარწმუნებს მინისტრი ვერა ქობალია.

ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ინვესტორებმა აღიარეს, რომ იყენებენ დონალდ ტრამპის სახელს, ანუ აქვთ ლიცენზია. **ფული ქართულმა კომპანიამ უნდა მოიზიდოს. კონტრაქტით არ არის გათვალისწინებული, რომ ტრამპმა პროექტებში საკუთარი ფული უნდა ჩადოს.** „მაგრამ მთავარია, რომ ტრამპი ფულის მოზიდვაში დაგვეხმარება“, — ჯერათ ქართველ ინვესტორებს.

რამდენად დაეხმარება, ესეც საეჭვოა, თუმცა მკითხველმა თავად განსაჯოს, ჩვენ კი შემოგთავაზებთ ტრამპის მიერ განხორციელებული პროექტების სიას, რომელიც ჟურნალისტმა გიორგი უძილაურმა განათავსა facebook-ზე:

**სასტუმრო Trump Plaza Hotel გაკოტრდა, ტრამპს მოუწია მისი 49% წილის დათმობა CITIBANK-ისთვის;**

**პროექტი Trump Shuttle პროექტი გახსნისთანავე დაიხურა;**

**სასტუმროთა ქსელი Trump Hotels & Casino Resorts გაკოტრდა 2004 წელს (ამავე წელს ტრამპმა მეორედ გამოაცხადა პირადი გაკოტრება);**

**სამორინეთა ქსელი Taj Mahal გაკოტრდა 2006 წელს**

**პროექტი GoTrump.com დაიხურა 2007 წელს, დაწყებიდან 1 წელიწადში;**

**სამორინეთა ქსელს Trump 29 Casino — ტრამპი ვერ გაუძლვა და სხვა კომპანიას გადასცა სასტუმრო;**

**კომპლექსი მექსიკის სანაპიროზე Donald Trump Ocean Resort Baja — არ აშენებულა, თუმცა პროექტში ჩადებულ ნახევარ მილიონ დოლარს ვერ იბრუნებენ ტრამპისგან გაცურებული ინვესტორები;**

**52-სართულიანი კონდო-სასტუმრო ფლორიდაში Trump Towers Tampa — არ აშენებულა, თუმცა მოქალაქეებმაც ვერ დაიბრუნეს წინასწარ გადახდილი 45 ათასდოლარიანი ავანსები;**

**ჩიკაგოში სიმაღლით მეორე ცათამბჯენი Trump International Hotel and Tower Chicago ჩაიშალა, ტრამპს უნდა გადაეხადა ბანკისთვის კრედიტი, მაგრამ აქეთ მოსთხოვა ბანკს 3 მლრდ დოლარი პროექტის ჩაგდებისთვის;**

**შეძლებულ საზოგადოებაზე გათვლილი ჟურნალი Trump Magazine ჩაფლავდა, ეს იყო მესამე ჩაფლავება მედიასაშუალებისა, რომელიც ტრამპის სახელს ატარებდა;**

**2009 წელს ჩავარდა სასტუმრო Trump International Hotel & Tower New Orleans-ის პროექტი;**

**2009 წელს ჩაფლავდა სამორინეს Trump Entertainment Resort Holdings პროექტი;**

**2010 წელს ჩაფლავდა კონდო სასტუმრო Donald Trump SoHo Hotel Condominium, რადგან გაირკვა, რომ ტრამპი ატყუებდა მოქალაქეებს, აცხადებდა რა რეკლამებში, რომ კონდომინიუმის 60-70 % გაყიდულია, რეალურად კი გაყიდული იყო მხოლოდ 15%;**

**2010 წელს ასევე ჩაფლავდა სასტუმრო Trump International Hotel & Tower Fort Lauderdale, ტრამპმა გამოაცხადა, რომ დეფოლტის შემდეგ აღარ არის კავშირში ამ პროექტთან;**

**კიდევ ერთი პროექტი — Trump 6nternational Hotel & Tower Las Vegas ჩავარდა, დუბაის პროექტიც Trump International Hotel & Tower in Dubai და შედეგად, დონალდ ტრამპს 17 წლის განმავლობაში ჩაუვარდა 19 პროექტი.**

მარიამ თოდაძე

◉ ფიქრები ხმამაღლა

**ქართველებს გვიყვარს წამღერება – „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნადო“... ჩემთვის ღმერთს არც ხმა მოუცია და არც სმენა, თორემ ამ სიმღერაში გატარებული აზრის მომხრე როგორ არა ვარ, საქმე ისაა, რომ მე სულ სხვა რამე მაწუხებს და მიშლის ნერვებს, დიახ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ გაწამაწიაში მე სამი რამ მიკვირს ამ ქვეყნად და იმან გამახსენა ეს სიმღერა, თორემ სასიმღეროდ სულაც არა მაქვს საქმე.**

# სამი რამ...



**პირველი.** ძვირფასო მეგობრებო, რატომ გგონიათ, რომ ჩვენი ტანადი, თვალადი, „გულადი“ და ფულადი პრეზიდენტი გიჟია ან ნერვოსტენიკი?! როგორ? 2008 წლის ომში რომ დამარცხდა და გავიმარჯვეო, პარლამენტის წინ ზეიმობდა, ეს იმან გაფიქრებინათ? ააააა, ბატონებო, მან პირადად ნამდვილად გაიმარჯვა, თავისი საქმე გააკეთა – რუსი აიძულა შემოსეოდა საქართველოს, ასზე მეტი სოფელი, მთა და ბარი, ტყე და ველი ჩააბარა იმ პირგამეხებულ ოკუპანტს, ასიოდე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა... მეტი რა ექნა, არ უნდა ეზეიმა? მართალია, თვითონ კი ბევრი იფორთხა გორის ქუჩებში, მაგრამ დიდ საქმეს რომ აკეთებ, მთავარსარდალიც რომ იყო, შეიძლება ცოტა შეწუხდე, რა მოხდა მერე?! მალე კი წამოხტა და ისე მოკურცხლა, სპრინტერიც ვერ დაეწეოდა. თქვენ, ალბათ, ამას წინათ პარლამენტში რომ ინერვიულა, იმან უფრო გაფიქრებინათ მისი ფსიქოზი: ცაგარეიშვილის ნიშნისგებით მიწოდებული სურათების დანახვამ და ბალათურიას უპრეცედენტო მხილების მოსმენამ გადარია კაცი და გავარდა გარეთ, ამიტომ დაუსვით დიაგნოზი ნევრასტენიკიაო? აბა, ერთი თქვენ ყოფილიყავით მის ადგილას, რას იზამდით? ეს ჩემი და ჩემი თანაპარტიელების სრასახლები კი არა, ქოხმახებიაო, ეტყოდით? ძველ უნივერსიტეტებს რომ ანგრევს და ახალს აშენებს დედამისის სიმბოლურ ფასად ნაყიდ მიწებზე, გადამალავდით? მეუღლის კუთვნილ რადიო „მუზას“ ანგარიშზე გადარიცხულ ასეულ ათასობით დოლარს გააქრობდით? ეს უზრდელი ოპოზიციონერი პარლამენტარები მაშინვე წინ რომ დაგილაგებდნენ პრეზიდენტის ხელმოწერილ განკარგულებებს, ხომ შეგრცხვებოდ[redacted] არ შერცხვებოდა, მა[redacted]ექნა? ადგა და გაიქცა[redacted]დან. თუ გახსოვთ, რ[redacted]რუნდა, სანამ ცინიკ[redacted]ებს დაიწყებდა, რა ბ[redacted]როგორი დემოკრატ[redacted]. რა ენაღვლებოდა, მა[redacted] საქმე კარგა ხნის წინათ ჰქონდა გაკეთებული. ახლა რაც უნდათ ისა ქნანო, ფიქრობდა, კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო, ეროვნება და მამის სახელი ხომ ადრევე წაგვართვა, ტერიტორიები გაასხვისა, ახალგაზრდები დაგვიხოცა, დევნილები გამოგვირეკა, ხელოვნების ნიმუში – ქუთაისის მემორიალი აგვიფეთქა, ძეგლები მიჰყარმოჰყარა, ფალოსი ცხვირწინ აგვიყუდა და ბევრი სხვა რამ, მაგრამ თავი არავის შეგვიწუხებია, ეს იყო – ვიყვირეთ, ვიჩხავლეთ და გავჩუმდით. ახლაც ასე იქნებაო, იფიქრა და მისებურად მოიხოცა ცხვირი. ერთი სიტყვით, ნურავინ იტყვის ეს კაცი ავადმყოფიაო. თუ მაინც და მაინც არ გჯერათ, ჰკითხეთ ბატონებს ბუშსა და მაკკეინს, იმათ კარგად იციან ვინც არის და როგორიც არის.

**მეორე.** იგავ-არაკი – „ლებედ, რაკ და შჩუკა“ არ გექნებათ წაკითხული. ალბათ, თქვენც სააკაშვილის თარგზე ხართ გამოჭრილი და რუსულს ვერ იტანთ, მარტო ინგლისურად წერთ, კითხულობთ და ლაპარაკობთ (ამიტომაც დაგიწერეთ იგავ-არაკის დასახელება ქართული ასოებით), მაგრამ დავიჯერო, ფილმი „გიორგი სააკაძეც“ არც ერთ თქვენგანს არ უნახავს?! იქ ასეთი კადრია – დიდი მოურავი თავის ვაჟიშვილს საბრძოლო ისრების მაგალითზე უმტკიცებს და ეუბნება: ასეა შვილო, ცალ-ცალკე მოსულნი ყოველთვის მარცხდებიან, აი, ერთად კი იმარჯვებენო.

თუ არ გინახავთ ეს ფილმი, რატომ არ გინახავთ? მარტო „შესანიშნავ შვიდეულს“ უყურებთ? ის დიდებული ფილმია, მაგრამ სხვისია და სხვა რამეს გვასწავლის, „გიორგი სააკაძე“ კი ჩვენია (თუ თქვენც ხართ), თანაც სულაც არ არის სუსტი ნაწარმოები და გვასწავლის იმას, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება დღეს.

დიახ, გვასწავლის, მაგრამ უნდა ისწავლო. გაზეთს ვერ გადაფურცლავ, რადიოსა და ტელევიზორს ვერ ჩართავ თქვენს გაერთიანებას, დარაზმვას რომ არ გევედრებოდნენ თავგაბეზრებული თანამემამულენი, თქვენ კი დაგიჩემებიათ – ის თუ იქნება, იმათ მე არ გავეკარებიო, იმ გუნდში მექრთამე ურევია და მე მასთან არ დავდგებიო, იმას ისეთი რამე აქვს ნათქვამი, სადაც ის იქნება, იმათთან მე ვერ ვიმეგობრებო...

ნუ იმეგობრებ, შე კაცო, ახლა სიმრავლეა საჭირო, თორემ არავინ შეგეხვეწებოდათ: ეს მოტივ[redacted]რაც თქვენ მოგაქვთ, ამ შემთხვევაში თქვენ საქციელს ვერ ამართლებს: ვიღაცას ურგები სიტყვა იქნებ მართლა წამოცდენია, ზოგს იქნებ ქრთამიც აქვს აღებული ან მიცემული, ზოგს კიდევ ქვეყნის ხაზინაში ხელი უფათურებია... ახლა მაგის გამოძიებისა და ჩხრეკის დროა? ამჯერად ყველას თავმოყრაა საჭირო, დიახ, ნუ გამოვეკიდებით შეცდომას, ნაკლს, ის მეტ-ნაკლებად ყველას მოგვდის, ყველას გვაქვს, დროებით ბევრ რამეზე უნდა დავხუჭოთ თვალი, მათზე მერეც მოვიცლით. ჩვენ ხომ დღეს ერთი ხმაც რამედ გვიღირს, ის თუ დავკარგეთ, იცოდეთ, მას სწორედ ის იპოვის, ვისაც ჩვენზე მეტად სჭირდება იგი. უთუოდ იპოვის, მას ამის უნარი აქვს და მერე რამდენიც გინდათ იძახეთ, არჩევანი ჩვენიაო-თქო.

სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, არც ეშმაკობა აკლია მას. როგორ გგონიათ, რატომ შეუტია ევროპის თითქმის ყველა დიდი და პატარა ქვეყნის დიპლომატს, ვითომ შემთხვევითია? ჰილარი კლინტონს ვითომ არ ეცოდინება რა აქვს მასზე ნათქვამი, ამ პირმოხეულ კაცს? მაგრამ მან იცის, ვინ როდის უნდა აქოს და როდის აძაგოს, არ გეგონოთ ტყუილად წავიდა კორეაში, მსოფლიოს ბირთვული ქვეყნების ხელმძღვანელთა სამიტზე. იქ საქვეყნოდ გააჟღერა, ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავი კანონები მივიღეო (მაშინ როცა, ყველა მათგანი სწორედ ქვეყნის დამანგრეველია). „ლაფათქაზე“ დადებული კაცის საქციელს ჰგავდა ეს? მაგრამ მან ისიც იცის, ვინ რაში გამოიყენოს, როგორ აჩვენოს ხალხს, ვინ ართმევს ხელს, ვინ უცინის, ვინ კოცნის ტუჩზე და ვინ ხელზე, მას ასწავლეს, სად უნდა იცრუოს, სად თქვას სიმართ.... (არა, ბოდიშს ვიხდი, შემეშალა, ეს არ უსწავლებიათ), მან ისწავლა ვის დაუდოს სარმა, ვინ ვისთან ჩაუშვას, ამაში მას ნურავინ შეეჯიბრებით! იცით რატომ? თქვენ რომ ხალხსა და ქვეყანაზე ზრუნვას, სიკეთის კეთებას გასწავლიდნენ და მეცნიერების დარგებს ჩაჰკირკიტებდით, ის მთელი თავისი ცხოვრება თაღლითობის ხელოვნებაში ოსტატდებოდა. ასე ისწავლა მან: როგორ უნდა მოსპოს ყველაფერი ეროვნული, როგორ დაგმოს სარწმუნოება, როგორ შეიძულოს ყველა წინაპარი გმირი, მიკროფონს რომ მისცემენ ხელში მარტო მან უნდა ილაპარაკოს მხოლოდ თავის მოგონილ წარმატებებზე, მიღწევებზე, უთუოდ დამაჯერებლად, დაახეთქოს ტყუილები, თამამად, თვალის დაუხამხამებლად, არასოდეს შეცვალოს გადაწყვეტილება და მრავალი სხვა. ასე თუ არ მოიქცა, არავინ იმ ენაზე არ დაელაპარაკება, რაც მან იცის და არც არავინ აღირსებს იმ მწვანე ქაღალდს, ჩვენი ხალხი ხელის ჭუჭყს რომ ეძახის (მან იმის გამოყენებაც კარგად იცის და ჭუჭყი უძახე შენძ.

**მესამე.** როდის ყოფილა, სად გაგონილა, მოწინააღმდეგეს სიტყვა-სიტყვით უკაკლავდე, დღეს რომელ ლოყაში გაჰკრავ, ხვალ სად უკბენ, ან როცა მოერევი, მერე რას მიუსჯი. სტალინი გერმანელებს ატყობინებდა ხვალ ამ და ამ ადგილას დაგბომბავთ, ზეგ ამას გიზამთ, იმას გიზამთო? ჩვენი სასახელო მიშა მესხი მოწინააღმდეგის მეკარეს წინასწარ აფრთხილებდა მარჯვენა კუთხეში დაურტყამდა ბურთს თუ მარცხენაში? თქვენ კი ყველას პირზე გაკერიათ, ამას დავიჭერთ, იმას დილეგში ვუკრავთ თავს, არავის დავინდობთო და მერე გიკვირთ, შეიარაღებულ ფორმირებებს რატომ ქმნიანო, ამომრჩევლებს რისთვის ემუქრებიან და აშინებენო, ყველაფერს კადრულობენ, რომ ხელი შეგვიშალონო... (თქვენ ხომ კარგად უფრთხილდებით, მათ, რომ არაფერში არ შეეშალოთ ხელი, სულ თავდაცვაზე ხართ გადასულიძ. რაც შეეხება ძაღლსა და მუქარას, ის არასოდეს ყოფილა ჩვენი წინაპრებისთვის დამახასიათებელი თვისება და ნურც თქვენ გაიხდით ჩვევად. რუსებს აქვთ ასეთი ანდაზა – „ნუ დაიძახებ ჰოპს, სანამ არ გადახტებიო“...

მართალი გითხრათ, ამდენს რომ გიჩიჩინებთ, ვაი თუ თქვენი – ახალი დემოკრატების ეტიკეტის მიხედვით, ყველა ჩემი წინადადება შორს დაიჭიროთ და უნდობლობაც გამომიცხადოთ... იმიტომ გესაყვედურებით და გიჯავრდებით ასე ძალიან და ნუ გეწყინებათ.

ახლა ყური მიგდეთ: შენიშნავდით, რომ აქ მე მარტო ჩემს აზრს არ გიზიარებთ, მარტო მე არ მიკვირს ეს სამი რამ, ბევრ ჩემ ტოლზერიკაცს ჩემსავით აღიზიანებს ყველაფერი და შეღონებულიც ვართ იმის გამო, რომ მხარში ვერ გიდგავართ, ეს საზიზღარი სიბერე ძუ მგელივით მოგვიხტა და ვერაფრით გეხმარებით. ჩვენ კიდევ, ორი პარასკევი დაგვრჩენია და არ გვინდა ეს ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი ქვეყანა ამ დღეში დავტოვოთ... ჩვენი ასაკის ადამიანები დღევანდელი კატეგორიებით არ ვაზროვნებთ და უნდა დაგვიჯეროთ: ის რაც გვტკივა, მარტო ჩვენი და თქვენი პრობლემა არ არის, ახლა წყდება ქვეყნის გადარჩენისა და მომავლის ბედიღბალი, იცოდეთ!!!

ეს არაფერს გაკისრებთ? ვატყობ, ზოგიერთს უნდა ნარი სხვისი ხელით გლიჯოს? ოფლიც სხვამ ღვაროს და სისხლიც. შეხედეთ იმ დიდებულ კაცს, რომელმაც ყველაფერი პირადი სასწორზე დადო და ხელჩაქნეულები შემოგვაბრუნა, მასეთი კაცის გაძლოლა საამაყოცაა, მაგრამ თქვენ გინდათ ყველაფერი მან იტვირთოს! დარწმუნებული ვარ, ის არც ამაზე იტყვის უარს, მაგრამ, ხომ ხედავთ რა ურჩხულთან გვაქვს საქმე, ვერ შეძლებს, ნამდვილად ვერ გაწვდება, მხარში უნდა ამოვუდგეთ: ბატონი ბიძინა, ეტყობა, მომენტს ელოდება და მისი დრო დადგება თუ არა, უმალ მოგვიხმობს – აბა, მეგობრებო, ყველანი ჩემთან, ერთიანი ფრონტითო! და მაშინ მაინც არ უნდა გაგვიწყრეს ღმერთი – შინ არავინ დავრჩეთ, ერთიანობის მეტი ამას არაფერი უშველის; მტრის დასაცინს ნუ გავხდით ქვეყანას. ჩვენგან თევდორე ბერისა და ცოტნე დადიანის გმირობას არავინ ითხოვს, გულთან მიიტანეთ ის, რაც გვჭირს და ცოტა იქნებ გაბრაზდეთ, მეტი არაფერი.

მანამდე კი დასხედით და იმკითხავეთ, თუ ავადმყოფი არ არის, ეს ჩვენი ჯელი მონარქი, ვინ ყოფილა თუ იცით?!

**ზურაბ შაუთიძე**

◉ ოჰო, ჰო, ჰო!

# სააკაშვილი: საქართველოს უპილოტო თვითმფრინავები და სოფლის რაზმები დაიცავს

**[redacted]რის წინათ, საქართველ[redacted]ილობრივი წა[redacted]ახალი უპილოტო თვითმ[redacted]ვის ჩვენება მო[redacted]კუთარი თავდაცვითი წარ[redacted]ს შექმნისკენ გა[redacted]ლი სიმბოლური ნაბიჯი. მა[redacted]როგორც ალმო[redacted]ხეილ სააკაშვილს კიდევ[redacted]ი გრანდიოზ[redacted]ები აქვს ქვეყნის სამხედრ[redacted]არმოო კომპლ[redacted]დაკავშირებით, მათ შორ[redacted]რსაწინააღმდ[redacted]დაცვის სისტემის და ას[redacted]თი უპილოტ[redacted]ი აპარატების შექმნა (მომ[redacted]წლისთვის), რ[redacted]ეიარაღების გადატანას[redacted]ებს.**

**[redacted]დ Civil.ge-ს ცნობით, საკუ[redacted]ეგმების შესა[redacted]შვილმა თბილისში, სახელ[redacted]ო სამხედრო სა[redacted] ისაუბრა: „დარწმუნებუ[redacted]რ, რომ კარგა[redacted]ვებთ, ავაწყობთ ანტისა[redacted] სისტემას“, – [redacted]ა სააკაშვილმა. „გუშინ, [redacted]აც უპილოტ[redacted]ფრინავის გამოცდას ვესწ[redacted]დით, ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ეს სათამაშოა“, მაგრამ აბა მიბრძანდით და თუ შეძლებთ იყიდეთ ასეთი „სათამაშო“, რომელსაც ჰაერში ყოფნა 8 საათის განმავლობაში შეუძლია, აღჭურვილია კამერებით, რომლებსაც ღამით კადრების გადაღება შეუძლია“.**

**„გაისიდან გვექნება (საფრენი აპარატების) იგივე ანალოგია, ოღონდ მას შეეძლება იარაღის გადატანა უკვე ბევრად უფრო შორ მანძილზე და ბევრად უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ძველი რუსული „შტურმოვიკები“, – განაცხადა სააკაშვილმა“.**

**იმავე გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო, ყველაფერთან ერთად, თავის თავდაცვითუნარიანობას განამტკიცებს არა მხოლოდ შეიარაღების, არამედ ნაბაყოფლობითი სარეზერვო სისტემის შექმნის გზით, რომლის რიცხვი ამ ზაფხულში 70 ათასიდან მომავალ წელს 150 ათასამდე გაიზრდება.**

**„ჩვენ დავიწყეთ რეზერვისტთა ახალი სისტემის აწყობა და მივიღეთ ფენომენალური შედეგი – ჩვენს მტერს ეს ძალიან აღიზიანებს და მათ ქართველ აგენტებს, ე.წ. პოლიტიკოსებს ძალიან აღიზიანებთ რეზერვისტები, მაგრამ სოფლებში, სადაც თავდაცვის სამინისტრო შევიდა, ყველა ზრდასრული მამაკაცი ჩაეწერა რეზერვში – გამაოგნებელი შედეგია“, – განაცხადა მან.**

**„მტრის აგენტები“, როგორც ჩანს, ნახსენები იყო ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციური მოძრაობის გასაგონად, რომელიც ამტკიცებს, რომ სააკაშვილი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით „შეიარაღებულ ფორმირებებს“ აყალიბებს. შესაძლოა, ეს შეფასება გაზვიადებულია, თუმცა, როგორც ჩანს სააკაშვილი მართლაც იყენებს შესაძლო რუსულ საფრთხეს შიდაპოლიტიკური მიზნებისთვის.**

EURASIANET.org

ბანკების ომი

**რამდენიმე დღის წინათ Presage.tv ეროვნულ ბანკში ჩატარებული წმენდის შესახებ წერდა, რომელიც მიზნად ბანკ „ქართუს“ პრეზიდენტის ნოდარ ჯავახიშვილის ნათესავის აღმოჩენას ისახავდა. ჩვენი ინფორმაციით, ეროვნულ ბანკში მისი ნათესავი ვერ აღმოაჩინეს.**

**ჰყავს თუ არა ნოდარ ჯავახიშვილს ნათესავები ხელისუფლებაში და რა საფრთხეს შეიძლება უქმნიდნენ ისინი სახელმწიფოს, ამ საკითხებთან დაკავშირებით Presage.tv ნოდარ ჯავახიშვილს ესაუბრა, რომელიც ამბობს, რომ ეროვნულ ბანკში მისი ნათესავი მართლაც მუშაობს და ეს მისი ნათესავი, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძეა.**

**ნოდარ ჯავახიშვილი:** პირველ რიგში, იმის ვიტყვი, რომ ნოდარ ჯავახიშვილი ქიზიყელია და ქიზიყელები თავის ნათესავებს მაინცდამაინც, სამსახურში მოწყობაზე და ა.შ. არ წყალობენ. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ძალიან კარგად იცის, რომ მე ქიზიყელი ვარ და ხასიათითაც ზუსტად ასეთი ვარ.

ოთხწელიწადნახევარი ვიყავი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და არც ერთი ჩემი ნათესავი არ მიმიყვანია სამსახურში და რატომ გაჩნდა ამის ძებნის აუცილებლობა, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია.

მე გავიხსენებ, რომ ეროვნულ ბანკში ჩემი პრეზიდენტობის დროს ერთი ამბავი ატეხეს იმაზე, რომ აქ მუშაობდა ჩემი ძმა. მაგრამ მე რომ იქ მივედი, ის უკვე მუშაობდა ინკასაციაში მძღოლად, იჯდა ერთ თეთრ ნივაზე და ოთხწელიწადნახევრის შემდეგ მე რომ წამოვედი, ის ისევ იმ თეთრ ნივაზე იჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ყველა მანქანა ჩამოვწერეთ ხანდაზმულობის გამო, ჩემი ძმის მანქანა არ ჩამოვწერეთ, რადგან ის ყველაზე კარგად უვლიდა მანქანას და ნორმალურ მდგომარეობაში იყო, თორემ ასაკით ჩამოწერა კი ეკუთვნოდა.

ასე რომ, ამის მეტი არანაირი მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა და შეგიძლიათ, „ქართუშიც“ შეამოწმოთ. ექვსი თვეა, აქ ვარ და ნახეთ, ერთი ჩემი ნათესავი თუ მოვიყვანე და ამით მიხვდებით ჩემს დამოკიდებულებას.

მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ეს ქადაგიძის ინიციატივა ყოფილიყო.

**— რატომ?**

— სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეს ინფორმაცია უფრო მაღალ ეშელონებსა და სამართალდამცავებში მივიდა და კიდევ უფრო მეტი ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი ბატონი ადეიშვილიდან მოდის.

რატომ ეძებენ ჩემს ნათესავს ეროვნულ ბანკში ასე გამწარებულები, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია და დავიჯერო, ბატონო ადეიშვილს ამხელა ინფორმაცია არა აქვს? თუ არა აქვს, მაშინ მის გასაგონად ვიტყვი, რომ ეროვნულ ბანკში ჩემი ერთადერთი ნათესავი მუშაობს და ეს ზუსტად ის არის, ვინც ეძებს ჩემს დანარჩენ ნათესავებს.

**— ვის გულისხმობთ?**

— ქადაგიძე, დიახ, ეს გახლავთ ბატონი გიორგი ქადაგიძე. ახლა მე ვერ ვიტყვი, რომ ის ჩემი სისხლით ნათესავია, მაგრამ ქართული საზოგადოება ძალიან მარტივად გაიგებს იმას, რომ ჩემი ალალი ძმისშვილი არის მისი ალალი მამიდაშვილი. ამიტომაც მიკვირს, თუ ვის ეძებს ასე გამწარებული.

თუ მაინცდამაინც ჩემს ბიძაშვილებს ეძებენ საღმე, მინდა, დავაწყნარო ბატონი ადეიშვილიც და ბატონი ქადაგიძეც, რომ მე ბიძაშვილები საერთოდ არ მყავს, არც მამაჩემს ჰყავდა ძმა და არც დედაჩემს. ზოგადად ჩემს ნათესავებს თუ ეძებენ, აგერ არის ნათესავი და მეტ ნათესავს ვერ იპოვიან.

ჯავახიშვილები დიდი გვარია და ძალიან ბევრი ადამიანის შეწუხება დასჭირდებათ, მაგრამ ქიზიყში ძალიან ცოტა ჯავახიშვილი ცხოვრობს. ჩემდა სამწუხაროდ, ის დიდი ქართველებიც არ არიან ჩემი ნათესავები და მაინცდამაინც მთელ საქართველოს ნუ მოედებიან ჩემი ნათესავების ძებნაში.

**— ხელისუფლებას ახალი ინიციატივა აქვს, რომლის თანახმად ეროვნულ ბანკს მიენიჭება უფლება, განსაზღვროს, ვინ არ შეიძლება იყოს კომერციული ბანკის უპირატესი წილის მფლობელი და ასევე ბანკის პრეზიდენტი. ხელისუფლების მხრიდან ისიც ითქვა, რომ ეროვნულ ბანკს ეს უფლება აქამდეც ჰქონდა და რამდენად მართალია?**

— არა. ზუსტად ამაშია საქმე, რომ ჩვენთან კანონმდებლებიც კი ისე საუბრობენ კანონზე, თითქოს რაღაცა ზღაპარს ყვებოდნენ. ასეთი უფლება ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა. კანონში იყო გაწერილი კრიტერიუმები, რითი უნდა ეხელმძღვანელა ეროვნულ ბანკს. ახლა

# ჯუნგლებში დაბადებულნი



## ნოდარ ჯავახიშვილი:

## ჩემი ალალი ძმისშვილი არის გიორგი ქადაგიძის ალალი მამიდაშვილი

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდებათ თქვენი ნათესავების პოვნა? რას შეიძლება აკეთებდნენ ეს ადამიანები ისეთს, რომ მათთვის ასეთი ხელისშემშლელი იყოს?**

— მე ვერაფერს გასაკვირს ვერ ვხედავ იმაში, რომ ამათთვის ნოდარ ჯავახიშვილი და მისი ახლობელი ადამიანები აბსოლუტურად მიუღებლები იყვნენ. მე ვატყობ, რომ ქართული სულით თუ არის ვინმე გაჟღენთილი, ამათთვის საერთოდ მიუღებელია. თორემ, რამდენადაც მე ვიცი, ეროვნულ ბანკში საქმის გაფუჭება ვისაც შეუძლია, ყველა ბატონი ქადაგიძის მიყვანილია.

ისე, ეს ხალხი საკადრო გადაწყვეტილებებს ძალიან „საინტერესოდ“ რომ იღებს, ფაქტია. მე დეტალები არ დამიზუსტებია, მაგრამ ადამიანმა, რომელმაც ჩვენ ცილი დაგვწამა და რისი გულისთვისაც ბანკი რვაასი ათასზე მეტით დააჯარიმეს, აქედან წავიდა თუ არა, ერთ-ერთ სოლიდურ ბანკში დაიკავა ზუსტად იგივე თანამდებობა.

ასე რომ, ჩაუღრმავდეს ბატონი ადეიშვილიც და ბატონი ქადაგიძეც, როგორ ხდება ეს, რომ ადგილს უთავისუფლებენ და პირდაპირ ნიშნავენ მაღალ თანამდებობაზე იმისთვის, რომ ვიღაცას ცილი დასწამა. გამოდის, რომ დააჯილდოვეს. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ. ეს ადამიანი ჩვენთვის ნამდვილად არ იყო დანაკარგი. მათთვის კი, ალბათ, ძალიან დიდი შენაძენია, რადგან მსგავსი რაღაცეები კიდევ შეიძლება გააკეთოს.

ეს კრიტერიუმები, რომლებიც გაწერილი იყო, გაიმეორეს და დაუმატეს ერთი წინადადება, რომ ეროვნულ ბანკს ამ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გარდა, სხვა კრიტერიუმების შემოღებაც შეუძლია. ეს არის პირდაპირი ვოლუნტარიზმი, რომ შენი რაღაც არ მოეწონება და მაინცდამაინც ის შეიძლება შარად მოგდოს.

ნორმალურ და ცივილიზირებულ სახელმწიფოში, შესაძლოა, ამ ჩანაწერსაც არაფერი შეეცვალა, რადგან იქ ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც ნორმალური იქნება, საბჭოც იარსებებს და ვერავინ ვერ მიიღებს ალოგიკურ გადაწყვეტილებას. ჩვენთან კი ეს ყველაფერი ზუსტად იმიტომ არის საშიში და მიუღებელი, რომ ყველა კანონს საიდანაც უნდათ, იქიდან აბამენ ყურს და რა დანიშნულებითაც უნდათ, იმ დანიშნულებით იყენებენ. მარტო ამ ექვსი თვის განმავლობაში ერთი და ორი ფაქტი ვნახეთ? დაწყებული იქიდან, რომ მიიღეს ქვეყნის დამაქცევარი კანონი და, როგორც ვაფრთხილებდით საზოგადოებას, გამოიყენეს მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ. რა, ორმაგი სტანდარტი საქართველოში ძნელი მოსაძებნია?

ვერავინ ვერ ამიხსნა, ვერც ერთმა მათემატიკოსმა, არადა, საკმაოდ წარმატებული მათემატიკოსები ჯერ კიდევ გვყავს. გნებავთ, გაუგზავნეთ ნობელის პრემიის ლაურეატ მათემატიკოსებს და ჰკითხეთ, რატომ არის ნული გამრავლებული ათზე რვაას ოცი ათას ორმოცი, არც მეტი და არც ნაკლები.

თუკი პარლამენტარი ხარ და გაგიჩნდა აზრი, რომ დამატებითი კრიტერიუმია შემოსატანი, კანონში ის კრიტერიუმი ჩაწერე და პირდაპირ იცოდეს საზოგადოებამ. მაგრამ არა, კრიტერიუმს კი არ წერენ, არამედ მას აძლევენ უფლებას, რომ დამატებითი კრიტერიუმები შემოიღოს. რატომ? თუ არ იცი, რა დამატებითი კრიტერიუმია საჭირო, ვინ გეხვეწება, რამე დაამატეო? იყოს, როგორც არის. თუ დადგება ამის აუცილებლობა, მაშინ შეიტან, რა პრობლემაა? ახლა გამოდის რომ ეს კრიტერიუმი არ გაქვს და მაინც შეგაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს კრიტერიუმი გაქვს, მაგრამ არ გინდა, რომ ეს საზოგადოებრივი განხილვის საგნად იქცეს და გინდა, რომ ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით შემოვიდეს მოქმედებაში მოულოდნელად, თორემ სხვანაირად რატომ გაჩნდება?

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს „ქართუ ბანკისთვის“ კეთდება?**

— მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება ზუსტად იმისთვის შემოიტანეს, რომ რაღაცა მოეძებნათ ჩემთვის ან ბატონი ბიძინასთვის. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამას აღარ გააგრძელებენ. იმიტომ, რომ მე რამდენიმე ინტერვიუში მოვუწოდე, რომ თვითონაც ნუ წვალობენ და დეპუტატებსაც ნუ აწვალებენ. რომც მოძებნონ ასეთი კრიტერიუმი, რომელსაც მე ვერ ვაკმაყოფილებ, დააკმაყოფილებს ბანკის ყველა დანარჩენი ხელმძღვანელი და ამით რა შეიცვლება?

მე „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტიც ვარ. მეთოთხმეტე სართულზე მაქვს ამაზე ოთხჯერ დიდი კაბინეტი. ავალ და იქ დავჯდები. აქ კი ის ადამიანი დაჯდება, რომელიც ბანკს ისევე მართავს, როგორც მე ვმართავ. ავუხსენი, რომ ამით ვერ მიაღწევენ ვერაფერს. ისევე, როგორც ბანკის წასაქცევად ხომ გააკეთეს ყველაფერი? მაგრამ რა შედეგი? 150 მილიონის მარტო გირაოები წაგვართვეს და სესხი ჩამოგვაწერინეს. დაახლოებით ამდენი ზარალი მოგვაყენეს და რა, წაგვაქციეს?

მე არ ვიტყვი, რომ მთლად ტყუილად დაშვრნენ, მაგრამ მიზანს ხომ ვერ მიაღწიეს? კი, ბატონო. ხუთი თვეა, ზის აქ „ეროვნული ბანკის“ შემმოწმებელი, მაგრამ რა? გვიპოვა ქვეყნის დამაქცევარი რამე? აქედანაც ხომ არაფერი გამოვიდა? თავი შეირცხვინეს მსოფლიო მასშტაბით. იმიტომ, რომ რამდენიმე უპრეცედენტო რამ ჩაიდინეს. გავიხსენოთ, — ბატონი ქადაგიძე გამოვიდა ტელევიზიით და განცხადებაც გააკეთა, რომ მთელ მსოფლიოში ის კანონი მოქმედებს თურმეო. ამის საპასუხოდ აშშ-ის სავაჭრო პალატის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გააკეთა დასკვნა, რომ, ცივილიზებული სამყარო ამ წესით არ მუშაობსო. ცივილიზებული მსოფლიო მუშაობს იმ წესით, რაც მანამდე თქვენ გქონდათ და დღეს რომ შეცვალეს, ბატონ ქადაგიძეს და მთელ ქართულ ხელისუფლებას აღარ უნდათ ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით დგომა? ჯუნგლებში უნდა დავბრუნდეთ? ეს არ არის ლეგიტიმური შეკითხვა? რა თქმა უნდა, არის. მაგრამ მე ვერ ვნახე ვერც პარლამენტში ვინმეს გამოსვლა და ვერც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის განცხადება, ვისაც ყველაზე მეტად უნდა შესტკიოდეს გული, რომ ეთქვა, რას გვიშვრებით, სად გვაბრუნებთო. რაშია საქმე?

**თეონა ხარაბაძე**

ინფორმაცია

### შალვას სურს, მაგრამ ფერეიდნელებს უნდათ?

**„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოში ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების ინიციატივით გამოდის. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება დანაშაულს სჩადის სამხრეთ აფრიკიდან ბურების ჩამოსახლებით, რაც ქართველ მეურნე კაცს საკუთარი მიწა-წყლიდან აყრის და უცხოელთა მონა-მოჯამაგირედ აქცევს.**

**— იცოდეს ყველამ, უცხოზე გასაცემი მიწები ჩვენ აღარ დაგვრჩა. გამოვდივართ ინიციატივით — თუ თავისუფალი მიწების ათვისება და ჩამორიგებაზე მიდგება საქმე საქართველოში დავაბრუნოთ 400 წლის წინათ დედა-სამშობლოდან აყრილი და ირანში გადასახლებული ფერეიდნელი ქართველები, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.**

**დევნილი ქართველების საქართველოში ჩამოყვანის პროცესის დასაწყებად პარტიაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, იოსებ შატბერაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც უახლოეს ხანში დაიწყებს ირანის ხელისუფლებასთან კონსულტაციებს.**

### მიხაკო წერეთელს საქართველოში გადმოასვენებენ

**საფრანგეთში დაკრძალული ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიხაკო წერეთლის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით სამთავრობო კომისია შეიქმნება. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ განუცხადა.**

**მისი თქმით, აღნიშნული კომისია ოჯახის წევრებთან, მეცნიერებთან და სათვისტომოსთან ერთად იმუშავებს.**

### ტერაქტში ეჭვმიტანილი საავადმყოფოში გარდაიცვალა

**საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელების საქმეზე ერთ-ერთი მსჯავრდებული ჯენერი მატკავა, რომელიც 20-წლიან სასჯელს იხდიდა, ღუდუშაურის კლინიკაში გარდაიცვალა. ამის შესახებ ტერაქტის ორგანიზებაში მსჯავრდებულების ადვოკატებმა განაცხადეს.**

**— 65 წლის ჯენერი მატკავა დიდი ხანია ავადმყოფობდა. ის ბოლო პროცესებს ამის გამო არ ესწრებოდა და მისი საქმე ცალკე წარმოებად გამოეყო, — განაცხადა ტერაქტის ორგანიზებაში მსჯავრდებულების ერთ-ერთმა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა. ჯენერი მატკავა მსჯავრდებული იყო ტერაქტის ორგანიზებაში მსჯავრდებულ მერაბ ყოლბაიასა და გოგიტა არქანიას საზღვარზე ჭუბურხინჯიდან შემოვლითი გზით გამოტარებაში.**

ინტერპრესი

# ქვემო ქართლის მოსახლეობა

## ეს ჩვენი სამშობლოა




**ქვემო ქართლი საქართველოს ისტორიული მხარეა, ქართლის ნაწილია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, მდინარე მტკვრის დინების ქვემო-მარჯვენა მხარეს მდებარეობს და მისი სახელწოდებაც სწორედ ამაზე მიუთითებს. გარეშე მტრებთან გამუდმებლ ბრძოლაში ეს მხარე ყველაზე მეტად დაზარალდა.**

მიუხედავად ამისა, ხალხს აქ უწყვეტად უცხოვრია, რასაც ადასტურებს აღმოჩენილ მატერიალურ ძეგლთა სიმრავლე. ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე ქვემო ქართლს „ძველი დროის ეთნოგრაფიულ ქართლს" უწოდებდა. უძველესი დროიდან აქ ქართველი ტომები ბინადრობდნენ და თრიალეთის ყორღანთა ბრწყინვალე კულტურა უეჭველად ეკუთვნოდა ქართველ ტომთა წინაპრებს (ბორის კუფტინიძ. აკად. ნიკო ბერძენიშვილის თქმით „ქვემო ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს იმ კუთხედ გვევლინებოდა, სადაც ქართის ტომის კულტურულ მაჯისცემას ყველაზე უფრო ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა... ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა... ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალურიძ საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისაძ."

ქვემო ქართლი განსაკუთრებით დაზარალდა მე-11 საუკუნეში, როდესაც აქ მდიდარი ზამთრის საძოვრების გამო დასახლება დაიწყო თურქულმა ტომებმა. ქართველი მემატიანე გულისტკივილით აღნიშნავს: „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანასა იქი არსო?" მემატიანისავე გადმოცემით, თურქთა „მოჭამეს ქუეყანა და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა."

მხარის გათურქება დავით აღმაშენებელმა შეაჩერა. განსაკუთრებით მძიმე იყო XV და XVII საუკუნეები, როდესაც ამ მხარეში, ისტორიული წყაროების თანახმად, ჯერ მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოსახლდნენ, ხოლო შემდეგ ირანის შაჰმა აბას პირველმა დებედის ხეობაში ბორჩალეს ასევე მომთაბარე ტომი ჩამოასახლა. XVIII საუკუნეში ქვემო ქართლი, ლეკთა თავდასხმების გამო, მკვიდრი მოსახლეობისგან თითქმის მთლიანად დაიცალა, მაგრამ შემდგომში აქ სომხები, ბერძნები და სხვა მოახალშენეებიც გაჩნდნენ. XIX საუკუნეში ქვემო ქართლში ძირითადად თურქეთიდან არ შეწყვეტილა სომხებისა და ბერძნების გადმოსახლება. სწორედ ამის გამო ქვემო ქართლი ყველაზე მრავალეროვანი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარე გახდა.

ქვემო ქართლი ქვეყნის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მხარეა. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იქ 505,7 ათასი კაცი ცხოვრობდა, მისი ტერიტორიის ფართობი 6527,6 კვადრატული კილომეტრია და ამ მაჩვენებლებით მხარეებს შორის მე-5 ადგილი უკავია. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 77,5 კაცს უდრის და მესამე ადგილი უკავია აჭარასა (134,7ძ და იმერეთის (107,5ძ შემდეგ. ქვემო ქართლი მოიცავს ქ.რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებს.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 10 სოფლის საკრებულო იყო, სადაც 10 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა და აქედან 6 საკრებულო ქვემო ქართლში მდებარეობდა. ამავე აღწერის მიხედვით საქართველოს 28 სოფელში 5 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა და აქედან 11 სოფელი (39.3 პროცენტიძ ქვემო ქართლში აღირიცხა. ამასთან 100 წლისა და უფროსი ასაკის მოქალაქეთა რაოდენობა 81 კაცს შეადგენდა (9 მამაკაცი და 72 ქალიძ. 1989 წელთან შედარებით 100 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა 137-დან 115 კაცამდე შემცირდა, საერთოდ ქვეყანაში კი 961 კაციდან (აფხაზეთის გამოკლებითძ — 650 კაცამდე (32 პროცენტითძ.

ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე მეტი იყო 1989 წელს — 608,5 ათასი კაცი. 1939 — 1989 წლებში, ანუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მისი მოსახლეობა 219,6 ათასი კაციდან 608,5 ათას კაცამდე ანუ 2,8-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ასეთი მაღალი ზრდა არც ერთ მხარეში არ დაფიქსირებულა. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით ქვემო ქართლის მოსახლეობა, 1989 წელთან შედარებით, ცნობილი მიზეზების გამო, მნიშვნელოვნად — 110,9 ათასი კაცით შემცირდა და მან 497530 კაცი შეადგინა. ამ პერიოდში განსაკუთრებით შემცირდა ბერძნებისა (43 ათასიძ და რუსების (28 ათასიძ რაოდენობა, რომლებიც ძირითადად თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ საცხოვრებლად. ქვემო ქართლში 2002 წელს 224.6 ათასი ( მხარის მთელი მოსახლეობის 45.1 პროცენტიძ აზერბაიჯანელი და თითქმის ამდენივე ქართველი — 222.5 ათასი (44,7 პროცენტიძ ცხოვრობდა (იხ. ცხრილიძ. 1939-2002 წლებში ქართველების რაოდენობა მხარეში თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. ასეთი უპრეცენდენტო ზრდა ძირითადად გამოიწვია ქვეყნის ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრის, ქალაქ რუსთავის დაარსებამ და 1950-იანი წლებიდან მისი მოსახლეობის დაჩქარებულმა ზრდამ.

ქვემო ქართლში საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილი — 78,9 პროცენტი ცხოვრობს. 1989 წლისა და წინა აღწერების მიხედვითაც ქვეყანაში ქართველების შემდეგ რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი სომხებს ეკავათ. მაგრამ 1989-2002 წლებში სომხების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა — 437 ათასიდან 249 ათასამდე (188 ათასი კაციძ, ხოლო აზერბაიჯანელებისა უმნიშვნელოდ — 307 ათასიდან 284 ათასამდე (23 ათასი კაციძ და მათ რაოდენობის მიხედვით 2002 წლის ქართველების შემდეგ მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს. ქვეყნის მთელ მოსახლეობაში მათმა წილმა 6.5 პროცენტი შეადგინა.

ქვემო ქართლში თითქმის თანაბარი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები და ბერძნები. 1939 წელს მათი რაოდენობა მხარის მოცემულ მოსახლეობაში შესაბამისად 20 და 16 პროცენტს უდრიდა. 1939-1989 წლებში ბერძნები გაიზარდა 35 ათასიდან 50 ათასამდე, ბოლო სომხების რაოდენობა უცვლელი დარჩა — 44 ათასი. 2002 წლისთვის სომხები და განსაკუთრებით ბერძნები მნიშვნელოვნად შემცირდა და მხარის მოსახლეობაში მათმა წილმა უკვე შესაბამისად 6.1 და 1.5 პროცენტი შეადგინა.

ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა

1939 -2002 წლებში

| | 1939 | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვემო ქართლის მხარე სულ მათ შორის | 219603 | 298493 | 498573 | 528468 | 608491 | 497530 |
| ქართველი | 28245 | 64729 | 154920 | 167760 | 241347 | 222450 |
| აზერბაიჯანელი | 81364 | 99655 | 177948 | 203009 | 243975 | 224606 |
| სომეხი | 44155 | 48004 | 53173 | 49530 | 43995 | 31777 |
| რუსი | 14691 | 30013 | 41606 | 37768 | 34934 | 6464 |
| ოსი | 3262 | 4856 | 7303 | 7976 | 8587 | 2184 |
| ბერძენი | 34798 | 43943 | 50031 | 52186 | 50252 | 7415 |
| უკრაინელი | 1614 | 3657 | 4661 | 4411 | 4859 | 527 |
| ებრაელი | 141 | 589 | 3633 | 557 | 432 | 57 |
| დანარჩენი | 11333 | 3047 | 5298 | 5271 | 7112 | 2050 |

ქვემო ქართლში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის — (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება და განქორწინებაძ მაჩვენებლები წლების განმავლობაში თითქმის ყველაზე უკეთესი იყო ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით. მაგალითად, 1985 წელს ქვემო ქართლში 14,4 ათასი ბავშვი დაიბადა და 3.8 ათასი კაცი გარდაიცვალა. მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ, რომელიც გულისხმობს დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის სხვაობის აბსოლუტურ სიდიდეს, შეადგენდა 10,6 ათასი კაცი, ანუ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების 20,5 პროცენტი. ამავე წელს მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ქვემო ქართლში 18,7 ბავშვი დაიბადა, ხოლო 8,8 კაცი გარდაიცვალა, ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე 9,9 კაცს შეადგენდა.

განსაკუთრებით მაღალი იყო შობადობა და ბუნებრივი მატების დონე ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში. კერძოდ, ბოლნისის რაიონში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 1985 წელს 31.0, ხოლო მარნეულის რაიონში 33,1 ბავშვი დაიბადა. ბუნებრივი მატების მაჩვენებელი კი შესაბამისად 24,0 და 24,8 პრომილეს უდრიდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო საქართველოს რაიონებს შორის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში, შობადობისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირების ფონზე, ქვემო ქართლში ეს მაჩვენებლები შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნდა, კვლავინდებურად იმ რაიონებში, სადაც უპირატესად აზებაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას იწვევს დაბადებულთა და გარდაცვლილთა ერთობლიობა. შობადობის დონეზე მრავალი ფაქტორები ახდენს გავლენას. ქვემო ქართლში შობადობის მაღალ დონეს ძირითადად განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ მაჰმადიანური სარწმუნოების აღიარება (45,4 პროცენტიძ ცხოვრების წესში გამჯდარი მრავალშვილიანობის ტრადიცია, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის შედარებით დაბალი დონე, მთელ მოსახლეობაში სოფლის მოსახლეობის მაღალი წილი (61,0 პროცენტიძ ქალების ქორწინებითი მგომარეობა და სხვა. მაგალითად, საქართველოში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 22,4 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო ქვემო ქართლში 12,8 პროცენტს. ამასთან აზერბაიჯანელთა 75 პროცენტი სოფლად, თანაც თბილისთან ახლოს მდებარე ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრობს და საერთო გაჭირვების ფონზე მათი შემოსავალი შედარებით მაღალია. ამასთან ქვემო ქართლში დაქორწინებულია 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების 61,0 პროცენტი, ხოლო არასოდეს ყოფილა ქორწინებაში ქალების 20,3 პროცენტი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქვეყანაში შესაბამისად 56,8 და 21,7 პროცენტს უდრის.

ქვემო ქართლში შობადობის მაღალ დონეზე მიუთითებს 2002 წლის აღწერის მონაცემებიც. კერძოდ, 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალებს, რომლებმაც მიუთითეს დაბადებულ ბავშვთა რიცხვი, სამი ბავშვი ყავდა ქალების 23,6 პროცენტს, ოთხი — 10,5 პროცენტს, ხოლო ხუთი ბავშვი — 4,9 პროცენტს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით შესაბამისად უდრიდა 20,8; 4,4 და 2,9 პროცენტს. განსაკუთრებით დაბალი იყო ეს მაჩვენებელი თბილისში, კერძოდ, 3 ბავშვი ყავდა ქალების 14,2 პროცენტს, 4 ბავშვი — 3,0 პროცენტს და ხუთი ბავშვი მხოლოდ 0,9 პროცენტს. ისიც აღსანიშნავია, რომ ქვემი ქართლში 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 ქალს საშუალოდ ყავდა 2580 ბავშვი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ქვეყანაში უდრიდა 2282 ბავშვს, თბილისში 1859 ბავშვს და ა. შ. ქვემო ქართლის აღნიშნული მაჩვენებელი მხარეებს შორის ჩამორჩებოდა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელს — 2735 ბავშვი. ამრიგად ქვემო ქართლში 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 ქალს ყავდა 721 ბავშვით მეტი, ვიდრე თბილისში.

საბჭოთა აღწერებში კითხვა რელიგიური აღმსარებლობის შესახებ გამიზნულად არ შეჰქონდათ. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გახდა შესაძლებელი მოსახლეობის 2002 წლის აღწერის პროგრამაში შეეტანათ კითხვა სარწმუნოების შესახებ. ამ აღწერის მონაცემების მიხედვით 3872 ათასი კაცი — კათოლიკე და 171 ათასი კაცი — სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მატარებელია, 3541 კაცი იუდეურ სარწმუნოებას მისდევდა, 434 ათასი კაცი კი მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა. 33 ათასი კაცი სხვა სარწმუნოების მიმდევარი იყო, ხოლო 28 ათასი კაცი არც ერთ სარწმუნოებას არ მისდევდა.

საინტერესო მონაცემებია მიღებული ქვემო ქართლის მოსახლეობის განაწილების შესახებ სარწმუნოების მიხედვით. ქვემო ქართლის მხარის მთელი მოსახლეობიდან (497530კაციძ ქრისტიანია 260 ათასი კაცი (54,1 %ძ. აქედან 242 ათასი კაცი მართლმადიდებელია. მხარის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები — 225 ათასი კაცი (45,4 %ძ მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებს. ამრიგად მოსახლეობის 99,5 პროცენტი ქრისტიანი და მაჰმადიანია. მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით კი შემდეგ სურათს იძლევა. მხარეში მცხოვრები 222 ათასი ქართველიდან 218 ათასი ქრისტიანია (98,3 %ძ, აქედან 218 307 მართლმადიდებელი, 306 კათოლიკე და 148 — სომხურ- გრიგორიანული და 2224 კაცი — (1.0 პროცენტიძ მაჰმადიანი. აზერბაიჯანელი მოსახლეობიდან 223 ათასი მაჰმადიანია (99,3 %ძ, 996 კაცი ქრისტიანი, აქედან მართლმადიდებელი — 889 კაცი (0,4 %ძ.

2002 წელს ქვემო ქართლში 31 ათასი სომეხი ცხოვრობდა. აქედან სომხურ- გრიგორიანულ სარწმუნოებას აღიარებდა 25 ათასი კაცი (79,7 %ძ, მართლმადიდებლურს — 5730 კაცი (18,0 %ძ, ხოლო 405 კათოლიკე იყო (1,3 %ძ. მაჰმადიანურ სარწმუნოების მხოლოს 70 კაცი მისდევდა.

**მაკა ნაცვლიშვილი,**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი.

რას წერენ ჩვენზე

# რუსეთელებს ვერავინ დაარწმუნებს, რომ ქართველები კაციჭამიები არიან

**საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას კავკასიის რესპუბლიკაში მოგზაურობის საფრთხის შესახებ და შესთავაზა დაიქირაონ ლავროვი ტურისტულ აგენტად, ვინაიდან მისი ამ განცხადების შემდეგ რუსმა ტურისტებმა შეიძინეს ყველა ბილეთი ავიარეისებზე. კრემლს ეშინია, რომ რუსეთელებს შეუძლიათ დაინახონ – მოკლე პერიოდში, თუ როგორ შეიძლება დააღწიო თავი კორუფციას და დაამკვიდრო დემოკრატია, მიაჩნიათ თბილისში.**

17 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის განცხადების შემდეგ საქართველოში მოგზაურობის საფრთხესთან დაკავშირებით, კავკასიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთიდან ტურისტების ნაკადები პირიქით გაიზრდება. შავი ზღვის კურორტ ქობულეთში ახალი პროფესიული კოლეჯის გახსნის დროს მან გამოთქვა პროგნოზი, რომ საქართველოს 2012 წელს ეწვევა მილიონამდე რუსეთელი.

როდესაც საქართველოს განათლების მინისტრს მიმართავდა, სააკაშვილმა ხუმრობით რეკომენდაცია მისცა მას დაიქირაოს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ტურისტულ აგენტად, ვინაიდან ლავროვის სიტყვებს მოაქვთ უკუშედეგი და რუსეთის ფედერაციის იმ მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში, იზრდება.

„ამჟამად ყველა სასტუმრო სავსეა ტურისტებით რუსეთიდან. რაც მეტს ლაპარაკობს ლავროვი, რომ არ ჩამოვიდნენ საქართველოში, მით მეტი ოდენობა მოდის ჩვენთან.



იქნებ ავიყვანოთ ლავროვი ტურისტულ აგენტად? ყველა თვითმფრინავი გადაჭედილია რუსებით, და ყველამ ისმინა ეს განცხადება, და უფრო მეტიც – ხალხი ჩამოდის აქ მეტი კმაყოფილებით. დავუნიშნოთ ლავროვს ტურისტული აგენტის ხელფასი, ის საქართველოს ძალიან კარგ რეკლამას უკეთებს“, – გადმოგვცემს „ამერიკის ხმა“.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა ძალიან ბევრ თანხებს ხარჯავს საქართველოს დისკრედიტაციისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მაგრამ, სააკაშვილის სიტყვებით, ეს მცდელობები უშედეგოა.

„ყოველწლიურად ასობით მილიონი დოლარი გამოიყოფა იმისთვის, რომ მსოფლიომ შეიძულოს საქართველო... მაგრამ ხალხი ჩამოდის ქვეყანაში და ხედავენ თავიანთი თვალებით: ეს გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე „გაზპრომის“ მიერ მოსყიდული სტატიები... უკვე აღარავის შეუძლია დაარწმუნოს რუსი ტურისტები, რომ ქართველები კაციჭამიები არიან“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 12 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ყურადღება მიაქცია საქართველოში უშიშროების არარსებობის შესახებ და რეკომენდაცია მისცა მათ, თავი შეიკავონ ამ ქვეყანაში ჩასვლისგან. უწყებაში აღნიშნავდნენ საქართველოში რუსი მოქალაქეების დაკავების შესახებ აფხაზეთში ჩასვლის გამო. „საქართველოს სპეცსამსახურები აგრძელებენ მათ სისტემატურ დაპატიმრებას. ეს კეთდება საიდუმლოდ, ზედმეტი ხმაურის გარეშე. სამაგიეროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფართოდ არის გაშუქებული პროპაგანდისტული შოუები, ისეთები, როგორიცაა სააკაშვილის ჩასვლა გამტარ პუნქტ „ყაზბეგში“, სადაც იგი მიესალმა რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარს გადმოდიან, შემდეგი სიტყვებით: „ჩამოდით უფრო ხშირად“, – ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ცნობაში.

ამავე დროს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მას შემდეგ, რაც 29 თებერვალს საქართველომ გააუქმა ვიზები რუსეთის მოქალაქეებისთვის, რუსეთელთა ოდენობა, რომლებმაც გადმოლახეს საქართველოს საზღვარი, გაიზარდა 70 პროცენტით შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და მიაღწია 30 ათას კაცს.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

# საქართველოს პრეზიდენტი კბილის ტკივილმა შეაწუხა

**საქართველოს ლეიბორისტული პარტია გამოვიდა განცხადებით, რომელშიც ბრალი დასდო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ანტირუსული პოლიტიკისა და ეროვნებათშორისი მტრობის გაჩაღების მიზანმიმართულ მოქმედებაში. ამის საბაბი გახდა ხელისუფლების გადაწყვეტილება – დახუროს რუსული საერთაშორისო ტელეკომპანია „მირის“ თბილისის ოფისი. ოპოზიცია იყენებს ნებისმიერ შანსს ხელისუფლების კრიტიკისთვის, იგი კი თითქოს ამისთვის საბაბს სპეციალურადაც იძლევა.**

საქართველოს საზოგადოებრიობამ მაინც ვერ მიიღო ხელისუფლებისგან მკაფიო განმარტება, თუ რით არ აძლევდა მას ხელს ტელეკომპანია „მირი“ – აპოლიტიკური, შეუმჩნეველი, სიმარტივეზე სპეციალიზებული, რომელსაც არ აკლდა, როგორც წესი, ნოსტალგიური სიუჟეტებიც. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ვინაიდან საქართველო გამოვიდა დსთ-დან, ხდება დარჩენილი შეთანხმებების დენონსირება, „მირი“ კი შეიქმნა და მუშაობდა სწორედ თანამეგობრობის ფორმატში. სიტუაცია გამოიყენეს გააქტივებულმა ლეიბორისტებმა და თავიანთ განცხადებაში „მირის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ასევე ბრალი დასდეს სააკაშვილს ქართული რეალობიდან რუსული კულტურისა და ხელოვნების გამოდევნაში, რუსული სკოლების დახურვაში, რუსულენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შევიწროებაში. „ეს არის ცხადი დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ფაშისტურ, დისკრიმინაციულ ხელისუფლებასთან, რომელიც აჩაღებს ეროვნებათშორის მტრობას“, – განაცხადა ლეიბორისტების წარმომადგენელმა პაატა ჯიბლაძემ.

ლეიბორისტული პარტია, რომელიც ემზადება საშემოდგომო პარლამენტის არჩევნებისთვის ინდივიდუალურ რეჟიმში, ცდილობს შეაგროვოს ყველა შესაძლებელი ვისტი. ამ დღეებში მან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხსენებულ არჩევნებთან ერთად შეიტანა განცხადება რეფერენდუმის მოწყობის შესახებ ავღანეთში ქართველი სამხედროების ყოფნის საკითხზე. თამაში წაუგებელია. საქართველოს ნატოში შესვლის იდეას ადგილობრივ საზოგადოებაში უკვე არც ისე ფართოდ უჭერენ მხარს, როგორც რამდენიმე წლის წინათ. დანაკარგებმა კი, რომლებიც განიცადეს ქართულმა ქვედანაყოფებმა კოალიციის ოპერაციის მსვლელობის დროს, სულაც წარმოშვეს საკითხი: ხომ არ განიხილავს დასავლეთი საქართველოს სამოკავშირეო როლს, როგორც საზარბაზნე ხორცს? მით უმეტეს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ქვეყნის მიღებასთან დაკავშირებით არ არის სიცხადე და სააკაშვილმა გამოაცხადა ქართული კონტინგენტის მომავალი გაორმაგების შესახებ ავღანეთში მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ამ გადაწყვეტილებას არ შეიძლებოდა საქართველოში არ გამოეწვია პოზიტიური ემოციები, და ლეიბორისტებმა ეს გამოიყენეს კიდეც. ისინი არ ჩამორჩნენ საზოგადოებრიობის ნაწილს, რომელიც მოითხოვს, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა გაიაროს ნარკოლოგიური ექსპერტიზა.



დიდი აურზაური სააკაშვილთან დაკავშირებით მოხდა გასულ კვირას ივერიის ღვთისშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის საზეიმო გახსნის დროს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საეკლესიო ელიტა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მეთაურობით. მახათას მთაზე, სადაც აიგება ტაძარი, ასობით შეკრებილი ელოდებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასაც. ცერემონიაზე მოსულმა პრეზიდენტმა გააოცა ყველა იმდენად უშუალო, ასე ვთქვათ, ქცევით, რომ ეს განსაკუთრებით მოგხვდებოდა თვალში ერის სულიერი ლიდერის ყოფნის დროს. სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეაგდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი გატანჯული იყო უძილობით კბილის ტკივილის გამო, მაგრამ საბაბი ავყიაობისთვის არ შენელებულა – უმალვე „გაჩნდნენ“ ათობით მოწმეები, რომლებმაც იხილეს სააკაშვილი დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში.

ქართული ოპოზიცია, გასული წლებისგან განსხვავებით, არ ახდენს საყოველთაო გაერთიანებისკენ მისწრაფების დეკლარირებას. სამაგიეროდ, ისე გასაოცრად აძლიერებს ზემოქმედებას ხელისუფლებაზე, რომ, თუ არ იცნობ რეალურ სიტუაციას, შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროს ერთგვარი საერთო გეგმის რეალიზაციაში. მაგალითად, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა დაასრულა მოძრაობა „ქართული ოცნების“ ტრანსფორმაცია პოლიტიკურ პარტიად და გამოაცხადა, რომ ეს არის სწორედ ის ძალა, რომელიც შემოდგომით თავიდან ჩამოიშორებს სააკაშვილს და მის „ნაციონალურ მოძრაობას“.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ხშირად არის ვაშინგტონის ოფისებში, ნათელს ჰფენს საქართველოს ხელისუფლების უგვანობას. სხვა ოპოზიციონერები იგივეს აკეთებენ ევროპაში. თავისი წვლილი პრეზიდენტისთვის დისკომფორტის შექმნაში, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიტანა ეროვნულმა უმცირესობამაც. საქართველოს სომხურმა ორგანიზაციებმა ხელისუფლებისგან მოითხოვეს აღიარონ გენოციდი ოსმალეთის იმპერიაში, აგრეთვე უკვდავყონ გამოჩენილი თბილისელი სომხების ხსოვნა. სიტუაცია, მსუბუქად რომ ვილაპარაკოთ, უხერხულია: გენოციდის აღიარება ნიშნავს გააფუჭო ურთიერთობა თურქეთთან და მასთან ერთად აზერბაიჯანთანაც, უარი თქვან – ეს გამოიწვევს სომხეთის მორიგ გაწბილებას, და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჯავახეთის სომხური რეგიონის მცხოვრებთა უკმაყოფილებას, სადაც პერიოდულად ვლინდება სეპარატიზმის საგანგაშო სიმპტომები.

სომხებს არ ჩამორჩებიან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებიც. და თუ ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის თხოვნა უკვდავყონ აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს პირველი თავმჯდომარის მამედ რასულზადეს ხსოვნა, არაფერი საშინელება არ არის, ქვემო ქართლში გავრცელებული ხმები ბორჩალოს რაღაც პარლამენტის შესახებ, ამან არ შეიძლება არ შეაშფოთოს ხელისუფლება.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**რუსმა ენთუზიასტმა მომავლის იარაღი გამოიგონა: მფრინავი ტყვიამფრქვევი „შარლინი“**

სამომავლოდ პატარა უპილოტო საფრენმა აპარატებმა შეიძლება შეცვალონ ჯარისკაცები – ისინი სწრაფად მოძრაობენ და აქვთ მანევრირების დიდი საშუალება. ჯერჯერობით არის მხოლოდ პროტოტიპი – ჩვეულებრივი კვადროკოპტერი ტყვიამფრქვევით. მაგრამ მასაც შეუძლია აფრინდეს 400 მეტრზე, იფირინოს საათში 50 კილომეტრის სიჩქარით და გაუშვას ჰაერში ასამდე ტყვია ერთ წუთში.

* * *

**„ნასას“ თანამგზავრმა გადაიღო ჩინური საიდუმლო ობიექტი: სახიფათო საწარმო განუხრელად იზრდება**



ფოტოზე აღმოჩნდა ბაიანობოს მაღარო, საიდანაც იღებენ დედამიწის იშვიათ ლითონებს. მის წილად მოდის მათი მსოფლიო წარმოების დაახლოებით ნახევარი. მაგრამ მისი დამანგრეველი მოქმედებაც ასეთივე დიდია: ლითონის ერთ ტონაზე მოდის 75 კუბური მეტრი მჟავე ჩამდინარი წყალი და დაახლოებით ერთი ტონა სახიფათო ნარჩენები.

* * *

**რუსეთის ფედერაციამ და ყირგიზეთმა მოაწესრიგეს საკითხი ვალების შესახებ რუსეთის სამხედრო ბაზებისთვის**



რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი შეხვდა თავის ყირგიზ კოლეგას ტალაიბეკ ომურალიევს და ხელი მოაწერა ოქმს კომპენსაციის შესახებ. თავად ვალი გადახდილი იყო ადრე, ოქმის ხელმოწერა კი „იურიდიულად აფორმებს დავალიანების დაფარვას“, განმარტეს სამხედროებმა.

* * *

**აშშ-მ ბრალი დასდო ჩინეთს სარაკეტო ტექნოლოგიების მიწოდებაში ჩრდილოეთი კორეისთვის**

პრობლემა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ფხენიანში 15 აპრილს სამხედრო აღლუმზე უჩვენეს თვითმავალი გამშვები დანადგარები ჩრდილოეთი კორეის საშუალო სიშორის ახალი დანადგარებისთვის. ექსპერტებმა განსაზღვრეს, რომ ეს დანადგარები უკვე დაგეგმილია ანდა უკვე ნაწარმოები ჩინური კომპანიის „სენძიანის“ მიერ.



# შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესი და პირობები

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**ამჯერად, ყველაზე მეტი შეკითხვა და წერილი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლების განმარტებასთან დაკავშირებით მივიღეთ. ამიტომ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, სწორედ აღნიშნულზე შევაჩერებთ დაინტერესებულ მკითხველთა ყურადღებას.**

**როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, დღეს საქართველოში 1500-ზე მეტი აღრიცხვაზე აყვანილი ოჯახი ელოდება ბავშვის შვილად აყვანას. ეს ოფიციალური მონაცემებით, თორემ რეალურად, შვილების მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტია. ამიტომ თუ წინამდებარე წერილი მათ ოდნავ მაინც გაუადვილებთ იმ პროცედურების გავლას, რომლებიც ამ მეტად კეთილშობილური მისიის შესრულებასთან არის დაკავშირებული, ჩვენი გაზეთის რედაქცია და უშუალოდ რუბრიკის წამყვანი ამ საქმეში ერთგვარ მონაწილეობას გამართლებულად ჩათვლის.**

კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 18 დეკემბერს მიიღო და 2010 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში. გარდა აღნიშნული კანონისა, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“; ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები.

იმისათვის, რომ სწორად გაერკვეთ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონში, ქვემოთ გთავაზობთ, თუ რა მნიშვნელობით არის მასში გამოყენებული ესა თუ ის ტერმინი:

- გადაუდებელი მინდობით აღზრდა, ეს არის მინდობით აღზრდა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რა დროსაც არ ხდება მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის შეფასება;

- გასაშვილებელი ბავშვი - 18 წლამდე პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში;

- გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრი (შემდგომში რეესტრი) - სისტემა, რომელიც მოიცავს გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა შესახებ მონაცემების ერთობლიობას;

- დედობილი/მამობილი - მიმღები ოჯახის წევრი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოვლისა და აღზრდისათვის გადაეცემა ბავშვი;

- მიტოვებული ბავშვი - 18 წლამდე პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად აღიარებულია მიტოვებულად;

- მიმღები ოჯახი - დედობილის ან მამობილის ოჯახი, რომელსაც მინდობით აღსაზრდელად გადაეცა ბავშვი;

- მინდობით აღზრდა - სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის მოვლა და აღზრდა;

- მინდობით აღსაზრდელი - სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახისათვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ბავშვი;

- მინისტრი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

- ნაპოვნი ბავშვი - 18 წლამდე პირი, რომლის აღმოჩენის მომენტში და ამ მომენტიდან 6 კვირის ვადაში ვერ დადგინდა მისი ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა, მის მიტოვებულ ბავშვად აღიარებამდე;

- ობოლი ბავშვი - რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მშობელი;

- პრევენცია - ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების დაცვა და მისი მშობელთა მზრუნველობას მოკლებულად ცნობისათვის თავის არიდება;

- რეინტეგრაცია - სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული პირის ბიოლოგიურ ოჯახში ან მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნება;

- სააგენტო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული - მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო საქართველოს ტერიტორიაზე;

- სამინისტრო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

- სოციალური მუშაკი - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი;

- შვილად აყვანა - კანონით დადგენილი წესით მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის.

**— თუ შეიძლება განგვიმარტოთ, ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი?**

— კანონის თანახმად, მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედითუნარიანი პირი, გარდა შემდეგი პირებისა: რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი პირი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა პირი, მაგრამ ეს ურთიერთობები გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდული აქვს მშობლის უფლება; რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დაავადებათა მიხედვით) არ შეუძლია მშობლის მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება; რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შვილად აყვანას ექვემდებარება რეესტრში აღრიცხული 18 წლამდე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. ასეთი სტატუსი კი იმ ბავშვებს ენიჭებათ, რომლის მშობელიც (მშობლებიც) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად; არის ობოლი ან აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად; რომლის მშობელსაც (მშობლებსაც) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება; რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე მინისტრის მიერ დადგენილი წესით და შესაბამისი ფორმის შევსებით.

**— ვისი გადაწყვეტილებით ენიჭება პირს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი?**

— პირს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რის შესახებაც გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები აღირიცხება რეესტრში.

შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუ მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის.

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ.

სრულწლოვანი ბავშვის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლისა და შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივადაც არის გამართლებული.

მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ; ასევე, ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი. მსგავს შემთხვევებში ბავშვი იძენს მეუღლეთა ქორწინების საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

**— შეიძლება თუ არა დაქორწინებული პირის შვილად აყვანა?**

— შეიძლება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მისი მეუღლის თანხმობა.

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო, რომლის გარდა ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეკრძალება ნებისმიერი ქმედება, მათ შორის წინასწარი საქმიანობა (გარიგება) კონკრეტული ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენელს ან ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის, ან ასეთი საქმიანობისათვის (გარიგებისათვის) ხელის შეწყობა შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის მიზნით. ამასთანავე, დაშვებულია შვილად აყვანის დროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადვოკატის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ იურიდიული მომსახურების გაწევა, ხოლო საერთაშორისო გაშვილების დროს - მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი სხვა შესაბამისი აკრედიტირებული იურიდიული პირის მიერ მომსახურების გაწევა.

**— გთხოვთ კონკრეტულად აგვიხსნათ, რა უფლებამოსილებები გააჩნია სააგენტოს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში?**

— საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სააგენტო კოორდინაციას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის საკითხებში ბავშვთა უფლებების დაცვას; აწარმოებს რეესტრს, უზრუნველყოფს მის სისტემატიზებასა და დამუშავებას; დროულად ახდენს დედობილი/მამობილის ფინანსურ უზრუნველყოფას მინდობით აღსაზრდელად ბავშვის გადაცემის შემთხვევაში; ახორციელებს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში მოქმედი კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სააგენტოა უფლებამოსილი, განახორციელოს საერთაშორისო გაშვილება; მასვე აკისრია ვალდებულება, 18 წელს მიღწეულ პირს მიაწოდოს ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე, ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მშობლების შესახებ კანონით გათვალისწინებული წესის დაცვით, თუ ეს უკანასკნელი ამას მოითხოვს.

18 წლამდე პირი მინდობით აღზრდას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ:

- მისი დატოვება მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ბავშვისათვის საზიანოა და მეურვე/მზრუნველი ამის თაობაზე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს;

- მშობლის (მშობლების) უფლება, გადაწყვიტოს (გადაწყვიტონ), ვისთან იცხოვროს ბავშვმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ: მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) ან შეეზღუდათ მშობლის უფლებები და მოვალეობები და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ.

საალმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია ნაპოვნი ბავშვის შესახებ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს. სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ბავშვი ტარდება რეესტრში და აღრიცხვიდან მოიხსნება მხოლოდ გაშვილების, გარდაცვალების, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის შეცვლის ან სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში.

**— გთხოვთ, დეტალურად განგვიმარტოთ, ვის უნდა მიმართოს ოჯახმა ან კონკრეტულმა პირმა, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანა სურს, ამ საკითხზე და რა საბუთები უნდა წარადგინოს?**

— „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც სურს ბავშვის შვილად აყვანა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის განაცხადს წარუდგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს, რომელიც იწყებს მშვილებელი ოჯახის (პირის) შეფასებას.

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის თანხმობისას, მშვილებელი ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: მეუღლის თანხმობა, თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს; საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის მოწმობა) ასლი; ქორწინების მოწმობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი; ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმებისა და ნასამართლობის შესახებ.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ზემოაღნიშნულ განაცხადსა და დოკუმენტებს, ასევე მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჩატარებულ კვლევას ოჯახის თაობაზე, წარუდგენს უშუალოდ სააგენტოს და არა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს, ბავშვის შეთავაზებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა, მშვილებელი ოჯახი/პირი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის აყვანის შესახებ. აღნიშნული ვადის გადაცილება შეთავაზებული ბავშვის აყვანაზე უარის თქმად ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ კანონით დაუშვებელია იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, მისი თანხმობის გარეშე. ბავშვის თანხმობა ირკვევა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სხდომაზე ბავშვის მოსმენის შედეგად.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობელს (მშობლებს), მშვილებელსა და 10 წელს მიღწეულ შვილად ასაყვანს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ თავიანთ თანხმობაზე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მშვილებლის თხოვნით ნაშვილებს მიეკუთვნება მშვილებლის გვარი. მშვილებლის თხოვნით შვილად აყვანილს შეიძლება სახელიც შეეცვალოს, მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია, რომ 10 წელს მიღწეული ბავშვისთვის სახელის გამოცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. ნაშვილებისათვის გვარის მიკუთვნების ან სახელის გამოცვლის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მშვილებლები, მათი თხოვნით, დაბადების ჩაწერის წიგნში შეიძლება ჩაიწერონ ნაშვილების მშობლებად, რაც ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა იყოს დაფიქსირებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლის თანახმად (ცვლილება შეტანილია ჯერ კიდევ 2008 წლის 1 მაისიდან) შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია, სანამ შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 18 წელი, ხოლო ამ ასაკის მიღწევის შემდეგ შეიძლება მხოლოდ შვილად აყვანილის თანხმობით. ასევე აკრძალულია შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება ბიოლოგიური მშობლის (გამშვილებლის) შესახებ, ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე.

პირი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის ფაქტს, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

(დასასრული იქნება)

ძიუდო



## ევროპის ჩემპიონატზე — 14 ფალავნით

**ჩელიაბინსკი 26-29 აპრილს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება ბოლო სალიცენზიო ტურნირია, რომლის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვევა, ქართველთაგან ვის და რამდენი ქულა აქვს მოპოვებული დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გასამგზავრებლად. როგორც ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძემ თქვა, კონტინენტის პირველობას საქართველოს ნაკრების დასაკომპლექტებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ჩვენს გუნდს წინ რამდენიმე საწვრთნელი შეკრება და ორი საერთაშორისო ტურნირი ელის. ოლიმპიურ თამაშებზეც ის გაემგზავრება, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება.**

ქართველმა კიმონოიანებმა შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. წლეულს, ცხადია, შედეგების გაუმჯობესებას შეეცდებიან. ნაკრების ავსტრიელი თავკაცი პეტერ ზაიზენბახერი მეტწილად მასთან ერთად შეკრებებზე მყოფ ძიუდოისტებს ენდო, თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც დაუშვა — სიაში ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძეც შეიყვანა, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა.

**გუშინ ჩვენი გუნდი ჩელიაბინსკს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:** ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი (ორივე — 60 კგძ, ლაშა შავდათუაშვილი, შალვა ქარდავა (66ძ, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (73ძ, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური (81ძ, ვარლამ ლიპარტელიანი, ზურაბ ზვიადაური (90), ლევან ჟორჟოლიანი, ირაკლი ცირეკიძე (100ძ, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონაძ.

26-28 აპრილს მედლების კომპლექტები ინდივიდუალურ პირველობებში, ხოლო 29-ში — გუნდურ ჩემპიონატში გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

## აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე

**ბაქოში ტრადიციად იქცა ჭაბუკი და ახალგაზრდა მოჭიდავეებისთვის საერთაშორისო ტურნირის გამართვა „აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე“. შეჯიბრებაში ტრადიციულად მონაწილეობენ საქართველოს წარმომადგენლებიც. ჩვენებურები წლეულსაც მრავლად იქნებიან ბაქოში. ამჯერად ჭაბუკთა გუნდების შემადგენლობას გაუწყებთ, რადგან ისინი პირველები ჩაებმებიან პაექრობაში.**



**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები:** გენადი ჩიტაძე, თემურ შავაძე, დავით ჩხარტიშვილი (სამივე — 42 კგძ, რამაზ ზოიძე, გიორგი კურტანიძე (46ძ, ირაკლი შავაძე (50ძ, ბაკურ გოგოლი, გიორგი ხუჭუა (54ძ, თემურ კვაჭაძე, გიორგი ტოტიკაშვილი, ლაშა ებელაშვილი (58ძ, გიორგი ჯაფარიძე, მურთაზ ჩაბრავა, გელა ბოლქვაძე (63ძ, გიორგი ჩხარტიშვილი, ბაჩუკი გოგნიაშვილი (69ძ, ნიკა გავაშელი, გიორგი დარჩია, ვასილ თავბერიძე (76ძ, ნიკოლოზ კახელაშვილი, სულხან ბუიძე (85ძ, ბექა კანდელაკი (100ძ, მთავარი მწვრთნელი — **ვაჟა კრავეიშვილი.**

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეები:** შმაგი თოდუა, ირაკლი მხეიძე (42ძ, გიორგი პასიკაშვილი, ტაიფუნ აბდულაევი (46ძ, გიორგი ლეჟავა (50ძ, ლევან მურცხვალაძე (54ძ, ედუარდ ნიკოლიშვილი, ავთანდილ კობახიძე (58ძ, ტარიელ გაფრინდაშვილი, ტრისტან მაისურაძე (63ძ, ომარ გურჯიძე, ირაკლი კობახიძე (69ძ, გიორგი ჩხარტიშვილი (76ძ, თორნიკე ბასილაშვილი, ნიკა მელიქიშვილი (85ძ, ბექა კახეთელიძე (100ძ, მთავარი მწვრთნელი — **თემურ ბენდიანიშვილი.**

ჭადრაკი

## ჯობავა მეორეა, მჭედლიშვილი - მესამე



**დუბაიში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბაადურ ჯობავამ ბოლო ტურში შავი ფიგურებით შეხარ სურია განგულის სძლია და 7 ქულა მოაგროვა.** ამდენივე ქულას მოუყარა თავი მიხეილ მჭედლიშვილმა, რომელმაც ჰოლანდიელი ლიუკ ვან ველი დაამარცხა. ჩინელმა ნი ჰუამ უკრაინელ იური კუზუბოვს მოუგო, ხოლო ლიდერები — ნორმუნდს მიეზისი (ლატვიაძ და ჩანდა სანდიპანი (ინდოეთიძ დაზავდნენ. ამდენად, ხუთმა მოჭადრაკემ 7-7 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი ნი ჰუას ერგო. მეორე-მესამე ადგილები ჯობავამ და მჭედლიშვილმა გაინაწილეს. ლევან ფანცულაიამ და სოფიო ხუხაშვილმა 5,5-5,5 ქულით, შესაბამისად, 33-ე და 42-ე ადგილები დაიკავეს, დავით არუთინიანი 5 ქულით 56-ე ადგილს დასჯერდა.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

## მე-2 ზონის 2 საგზურისთვის



**ბულგარეთის დედაქალაქი 2-5 მაისს დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მე-3 ჯგუფის წარმომადგენლებს მოუყრის თავს. მეორე ზონაში გადასასვლელად 13 გუნდი იასპარეზებს:** ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, ისლანდია, ლიტვა, მაკედონია, მალტა, ჩერნოგორია, ნორვეგია და სან-მარინო. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდებიან. წინა წლებში მოპოვებული ქულების საფუძველზე ორგანიზატორები მასპინძლებს, ლიტველებს, ბერძნებსა და ჩერნოგორიელებს სხვადასხვა ჯგუფში განთესავენ. სოფიაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი და მიხეილ ხმიადაშვილი (კაპიტანი ვიქტორ ბაქშიძ. ჯგუფებში გამარჯვებულები მე-2 ზონის ორი საგზურისთვის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**გივი გაგუა**

წყალბურთი



## ჭაბუკებმა პირველი წრე ჩაამთავრეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დამთავრდა 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის პირველი წრის შეხვედრები. შეჯიბრებაში შვიდი გუნდი მონაწილეობს. ბოლო ტურში „თბილისმა“ „ქუთაისს“ მოუგო 11:5, „ივერია-2“-მა „ტონუსს“ სძლია 24:1. ხოლო „ივერია-1“-მა — „ლიგამუსს“ — 10-9. ამდენად, 12 ქულით „ივერია-1“ლიდერობს. 10 ქულით მეორეა „ლიგამუსი“. 6-6 ქულით „ბათუმი“ და „თბილისი“ მესამე-მეოთხე ადგილებზე არიან. შემდეგ მოდიან. „ივერია-2“ — 5, „ქუთაისი“ — 3 და „ტონუსი“ — 0 ქულა.**

მომდევნო პარასკევს და შაბათს „ოლიმპიკში“ ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება. **27 აპრილი.** ჭაბუკთა ნაკრები — „ზვიგენები“, „ივერია“ — „ლიგამუსი“, „ბათუმი“ — „თბილისი“. **28 აპრილი.** „ზვიგენები“ — „ბათუმი“, ჭაბუკთა ნაკრები — „ივერია“, „თბილისი“ — „ლიგამუსი“.

**გურამ ფიფია**

ფეხბურთი

## ჰოლანდიელი – მესამედ

**„არსენალის“ თავდამსხმელი რობინ ვან პერსი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ვერსიით პრემიერლიგის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.**

„მეთოფეთა“ 28 წლის კაპიტანმა მიმდინარე სეზონში უკვე 27 გოლი გაიტანა და ფინიშამდე სამი ტურით ადრე სათავეში უდგას ბომბარდირთა ნუსხას, მისი კლუბი კი, უიღბლო სტარტის მიუხედავად, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა.

„ცაცია“ სნაიპერი დენის ბერგკამპისა და რუუდ ვან ნისტელროის შემდეგ მესამე ნიდერლანდელია, რომელსაც ასეთი პატივი ხვდა წილად, ხოლო „ემირეითსის“ (ყოფილი „ჰაიბერის“ძ ბინადართაგან — მეორე ლეგენდარული ფრანგის ტიერი ანრის მსგავსად.




აღსანიშნავია, რომ პრესტიჟულ გამოკითხვაში ვან პერსიმ მრისხანე კონკურენტებს დავიდ სილვას, სერხიო აგუეროს, ჯო ჰარტს (სამივე — „სიტი“ძ, უეინ რუნის („მანჩესტერი“ძ და სკოტ პარკერს („ტოტენჰემი“ძ გაუსწრო.

ამ უკანასკნელის 21 წლის თანაგუნდელი მცველი კაილ უოკერი (33 მატჩში — 1 გოლიძ „ნისლიან ალბიონზე“ წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დასახელდა.

ინტერნეტიდან

### დიდი დანაკლისი

**ტრაგედია დატრიალდა ჰოლანდიის ქალაქ ჰერცოგენბოშის იპოდრომზე მიმდინარე ცხენოსანთა მსოფლიოს თასის გათამაშების დროს.**

65 წლისა გარდაიცვალა გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ჰოლგერ შმეცერი, რომელიც სასტუმროს ნომერში მკვდარი იპოვეს.

„ეს შემაძრწუნებელი ფაქტია — განაცხადა ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, იორდანიის პრინცესა ჰაიამ. — ჩვენ ხალისიანი ადამიანი დავკარგეთ, თანაც — ოლიმპიადის წინ“.



სხვათა შორის, ლონდონის თამაშების შემდეგ გამოცდილი სპეციალისტი პენსიაზე გასვლას აპირებდა, მაგრამ...

დავძენთ, რომ მისი თავკაცობით გერმანელმა მხედრებმა ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე ოქროს მედლები მოიპოვეს ცხენის გაწვრთნაში.

### სასჯელიც ასეთი უნდა!

**სტენლის თასის წლევანდელი გათამაშება ისტორიაში შევა უნიკალური სასჯელით, რომელიც „ფენიქსის“ თავდამსხმელმა რაფი ტორესმა „ჩიკაგოს“ სლოვაკი ლეგიონერის მარიან ჰოსას წინააღმდეგ გამოყენებული სასტიკი ძალისმიერი ილეთის გამო დაიმსახურა.**



მეტოქისათვის თავში იდაყვის ჩარტყმა დამნაშავეს 25(!ძ — მატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, რასაც დაემატება თითოეული გამოტოვებული შეხვედრისათვის 21300 დოლარიანი სანქცია.

ვერაფერს იტყვი — პროფესიული ჰოკეის მამებმა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოიტანეს.

### ჩემპიონს სასამართლო გამოავლენს

**უცნაური სიტუაცია შეიქმნა ბულგარულ ფრენბურთში — ქვეყნის ჩემპიონს ვაჟთა შორის სასამართლო გამოავლენს.**

**სეზონის გვირგვინად რაზლოგის „პირინისა“ და დუპნიცის „მარეკის“ ფინალური მატჩების სერია უნდა ქცეულიყო, თუმცა პირველი შეხვედრის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მონასტერი არია.**



ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მასპინძელთა გამარჯვებით გახარებული რაზლოგელთა ქომაგები სარბიელზე გადაეშვნენ და მეტოქის ოფიციალურ პირებს შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამას, ბუნებრივია, იქაური დარბაზის დისკვალიფიკაცია მოჰყვა, ხოლო მას შემდეგ, რაც საპასუხო თამაშში დუპნიცელებმა საკუთარ პარკეტზე რევანში აიღეს და საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 1:1, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა გუნდებს ნეიტრალური ასპარეზი შესთავაზეს.

ასეთ ვარიანტზე რაზლოგელები არ დათანხმდნენ და, მართალია, ამის გამო ჩემპიონებად დუპნიცელები გამოცხადდნენ, მაგრამ სარჩელი სამოქალაქო სასამართლოში შეიტანეს.

### მან ფეხბურთის სამშობლო დაიპყრო



**ახლახან პროვინციული „რედინგი“ პრემიერლიგაში დაბრუნდა, რაშიც დიდია მისი ბელარუსი მფლობელის ანტონ ზინგარევიჩის წვლილი.**

კიდევ ერთი პიროვნება, ვინც ბრიტანული ტაბლოიდების ახალ მშვენებად იქცა, გახლავთ მისი 23 წლის მომხიბვლელი მეუღლე კატია, რომელიც სერგეი ნაგორნის მოდის სტუდიის წამყვანი სახეა და სამშობლოში თანამემამულეთა მხურვალე გულშემატკივრობით არის ცნობილი.

მეცხოველეობა

# თუშეთის მთებს შეფენილი სიმდიდრე

**გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ისაა, რომ დედამიწის ნებისმიერ რეგიონში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა უმალ თუ არა, გარკვეული ხნის შემდეგ თანდათანობით პლანეტარულ მასშტაბს იძენს. ეს ამბავი, ფაქტობრივად, კაცობრიობის ყოფიერების ნებისმიერ სფეროს ეხება, მაგრამ განსაკუთრებულ სიმძაფრეს მოვლენა მაშინ იძენს, როცა საქმე ნებისმიერი სახეობის რესურსებს ეხება — იქნება ეს სასმელი წყალი, ენერგოშემცველები, წიაღისეული, სურსათი თუ სხვა.**

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისთვის სასმელ წყალს, ამას თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ უწყლობით დედამიწაზე ყოველწლიურად დაახლოებით მილიონი კაცი იღუპება, მის ნაკლებლობას კი



მილიარდი ადამიანი განიცდის. ენერგოშემცველებზე კონტროლის დაწესებაზე მიმდინარე რეგიონული თუ გლობალური კონფლიქტების ამბავიც კარგადაა ცნობილი, ხოლო სურსათის მნიშვნელობაზე, როცა მსოფლიო მოსახლეობის თითქმის მეხუთედი შიმშილობს, ან, უკეთეს შემთხვევაში, შიმშილობის ზღვარზეა, ლაპარაკიც ზედმეტია.

სწორედ ამიტომაცაა, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა, მისთვის ტრადიციული დარგის განვითარება-გაძლიერებას ყველა ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს. ერთი ასეთი დარგი საქართველოში, კერძოდ, მეცხვარეობაა, რომლის პროდუქციაზე ბოლო წლებში მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, რადგან დიდძალი ცხვარი ექსპორტზე გადის. საქმე იქამდეც კია მისული, რომ დარგის ექსპერტები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ცხვრის ექსპორტზე აუცილებელია გარკვეული ლიმიტის დადგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ცხვრის ადგილობრივი ჯიშები შესაძლოა გადაშენების პირზე მივიდეს.

საქართველოდან ცხვრის ექსპორტის პიკი 2009 წელს იყო, რასაც მეორე წელს მოთხოვნის მოულოდნელი ვარდნა მოჰყვა, მაგრამ შარშან მოთხოვნა ასევე ნახტომისებურად გაიზარდა: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოდან ცოცხალი ცხვრის ექსპორტმა 165 ათასი სული შეადგინა, გარიგებათა მოცულობამ კი 15 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მიმდინარე წლის პერსპექტივებს რაც შეეხება, ექსპერტების აზრით, ამ შემთხვევაში საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი ვითარებაა გასათვალისწინებელი. აქ, უწინარესად, ანგარიშგასაწევია ცოცხალი ცხვრის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორის ავსტრალიის მიერ კვოტის გაზრდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შარშან ქართული ცხვარი პირველად შეიძინეს ისრაელის ფირმებმა, რაც ახალი პარტნიორული კავშირების დასაწყისია, რადგან მანამდე ჩვენი ცხვრის გასაღების მთავარი ბაზარი არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ყატარი, სირია, ერაყი, აზერბაიჯანი იყო. დიდძალი ცხვარი გაიყიდა ასევე სომხეთში, რომელიც ამ მხრივ პირველ პოზიციაზეა, სადაც 53 ათასი სული გაიყიდა. მნიშვნელობით მეორე იმპორტიორია ირანი, სადაც 40 ათასზე მეტი ცხვარი გაიყვანეს, შემდეგი კი ამ მაჩვენებლით აზერბაიჯანია (23,5 ათასი სული ცხვარი).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი ცხვრის ექსპორტი საქართველოდან ბოლო წლებში იზრდება, ქვეყანაში მისი სულადობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, რაც, დარგის სპეციალისტების აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოვლად დაუშვებელია. ვარაუდობენ, რომ სადღეისოდ ცხვრისა და თხის სულადობა 600 ათასიდან მილიონამდე ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული, რომელთაგან ოთხი მეხუთედი თუშური ენდემური ცხვრის ჯიშზე მოდის, რომელზე მოთხოვნა ხორცის უნიკალური თვისებებისა და გემოს წყალობით განსაკუთრებით დიდია. ამასთან, ექსპერტების გაანგარიშებით, საქართველოში მეცხვარეობის პოტენციალი ზამთრის პერიოდში, მაქსიმუმ, დაახლოებით ორი მილიონი სულია, თუმცა ზაფხულში, სათანადო პირობებში, ამ მაჩვენებლის გაორმაგება სავსებითაა შესაძლებელი, რასაც წლების მანძილზე საშველი არა და არ დაადგა. არადა ხელსაყრელი პირობების შექმნისა და დარგის რეზერვების სრულფასოვნად გამოყენების შემთხვევაში საქართველოს ექსპორტის ბალანსს დამატებით დაახლოებით 15-17 მილიონი დოლარი შეიძლება დაემატოს.

**ბოლოს ადრე არაერთგზის ნათქვამიც გვინდა გავიმეოროთ: ჩვენში მეცხვარეობის დარგის განვითარების პოტენციალი ხორცის გადამმუშავებელი საწარმოთა ქსელის გაშლა, რომელიც ბევრად უფრო მომგებიანი იქნება, როგორც მწარმოებელთათვის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ახალი გამოცემის მნიშვნელობა


ჩვენი ბასიანი
№1. 20 აპრილი, 2012
გაზეთი ვრცელდება უფასოდ

# ჩვენ დღესაც ბასიანი გვაქვს...

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ამას წინათ, გაიმართა შემეცნებით-საგანმანათლებლო გაზეთ „ჩვენი ბასიანის“ წარდგენა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა.**

ამ ყოველთვიური გაზეთის მიზანი ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ტრადიციების, ისტორიის შეურყვნელად დაცვა და მოსწავლე ახალგაზრდების ქართულ ფესვებთან ზიარებაა. გამოცემაში ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ისტორიულ მოვლენებს თუ პიროვნებებს, რელიგიის საკითხებს, პროზას, პოეზიას... სხვა მსგავსი გამოცემებისგან იგი იმითი გამოირჩევა, რომ უფასოდ დაურიგდებათ ახალგაზრდებს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ საქმეს სათავეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ეროვნული საზოგადოება, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები უდგანან და წმინდა ილია მართლის მიერ დაწყებულ მეორე ბასიანის (ანუ ფასიანს — ფასეულს, ღირებულს ნიშნავს) ბრძოლას აგრძელებენ.

ეროვნულობა..., ღირსება, საშობლო... ხმალს ვერ ვიქნევთ? კალამი მოვიქნიოთ! გუთანს ვერ ვეყრდნობით?! ერთმანეთს დავეყრდნოთ! — აღინიშნა საღამოზე, რომელსაც მსახიობი ოთარ ანდღულაძე უძღვებოდა.

„მრავალჟამიერს“ აგუგუნებდა ლოტბარ კახაბერ შაქიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ჩოხოსანთა ანსამბლი „ერქვანი“.

— ჩვენ ბასიანი გვაქვს ყველა დროში. ეს არის მამული, ენა, სარწმუნოება. წმინდა ილია მართლის მიერ შემოთავაზებული. ახალი ბასიანი არის გზა, რომელიც ავირჩიეთ და იქითკენ მივდივართ — ცოდნით, მეცნიერებით, ერთგულებით, ერთსულოვნებით. დღეს ჩვენ აქ უნდა გავიმარჯვოთ.

ისტორიული გამოცდილებაა, რომ ერს რომელსაც წარსული ავიწყდება, მომავალი არა აქვს. გამოცემის მისიაა ახალგაზრდა თაობაში გააცოცხლოს ეროვნული ცნობიერება. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში არ დავკარგოთ ის კულტურული სიმდიდრე, რომელიც საზოგადოებას ეკუთვნის. გავერთიანდეთ, როგორც ბასიანის ბრძოლის დროს თამარ მეფის ლოცვისა და ჯვრის ქვეშ. უფალმა გაიმარჯვოს ჩვენში... ეს არა მარტო წარსულია, არამედ ეს არის მომავალი — ბრძანა რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა მეუფე იოანე გამრეკელმა.

— არ იცოდე შენი რაობა, ქვეყნის ისტორია, დანაშაულია! ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების მისიაა დიდ მამულიშვილთა ცხოვრება-ღვაწლის წარმოჩენა, აფხაზურ-ქართულ-ოსური დიალოგების გამართვა ახალგაზრდებს შორის. საზოგადოება მოსწავლე ახალგაზრდებთან ეროვნულ და ისტორიულ საკითხებზე მართავს შეხვედრებს, კითხულობს ლექციებს.

ქართველის ბუნება ბრძოლაა. ქართველობა წყალობაა უფლისა, რომელიც მუდმივ ბრძოლას საჭიროებს. რატომ „ჩვენი ბასიანი“?! იმიტომ, რომ ჩვენ დღესაც ბასიანი გვაქვს, ჭეშმარიტი ქართველობა ბრძოლას საჭიროებს. ბნელი ძალები ცდილობენ ქართული დამთავრდეს. ქაქუცასაც უნდოდა ვყოფილიყავით ევროპასთან და იგი ამ გზას ადგა თავისი თვითმყოფადობით, ღირებულებებით, ფასეულობების დაცვით...

ჩვენ ბასიანი გვაქვს გასავლელი, ძირძველი ტერიტორიები დასაბრუნებელი. გაზეთის მეორე ნომერში სწორედ ამაზე გვექნება საუბარი, — განაცხადა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების თავმჯდომარემ, გაზეთ „ჩვენი ბასიანის“ რედაქტორმა ლევან ჟვანიამ, რომელმაც მეგობრების თხოვნით თავისი ლექსიც წაიკითხა „...მამულისთვის ნუ შეშინდებით, ერთად ვიაროთ“.

თაობათა, მამათა და შვილთა ერთად სვლის პირველი ნაბიჯებიც იქვე გადაიდგა. მსახიობმა ოთარ ანდღულაძემ ელგუჯა ბურდულთან — „გელა ექიმთან“ ერთად ფილმიდან „უძინართა მზე“ ექსპრომტად ცნობილი საუნტრეკი „რამ-ტა-რი-რო, რიმ-ტა-რი-რო“... შეასრულეს, რომელსაც დარბაზი ერთსულოვნად აჰყვა.... საღამოზე დიდხანს გაისმოდა „მრავალჟამიერი“, „შავლეგო“...

**გულნაზ გახარია**

წიგნის საერთაშორისო დღე

# ვისთვისაც წიგნი ძვირფასია





**წიგნის მოყვარულებმა მთელ მსოფლიოში ფართოდ აღნიშნეს 23 აპრილი — წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე. მათ შორის, ცხადია, ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამაც რამდენიმე საგულისხმო ღონისძიება გამართა.**

კერძოდ, ორშაბათს საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული გაიხსნა და ოფიციალურად გამოაცხადეს ასტრიდ ლინდგრენის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ორი კანდიდატი საქართველოდან, რომლებიც ჟიურიმ შეარჩია. ასევე დაასახელეს ისინი, ვინც საქართველოს წარმოადგენს დუბლინის ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ფონდებში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ყველაზე სრული კოლექცია გამოიფინა. აქ წარმოდგენილია 50-ზე მეტ ენაზე თარგმნილი უკვდავი პოემის გამოცემები, მაგრამ დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს მეფე ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემული რუსთაველის შედევრის ეგზემპლარმა მიიპყრო, რომელიც 1712 წლითაა დათარიღებული.

23 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სამკითხველო დარბაზების მკითხველებს რამდენიმე საათის განმავლობაში ბიბლიოთეკარებად... ცნობილი ქართველი კალმოსნები, ლიტერატურული კონკურსის „საბას“ პრემიის ლაურეატები გივი ალხაზიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი კეკელიძე, დიანა ამფიმიადი, ბესო ხვედელიძე, მაკა მიქელაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, ლევან ბრეგვაძე, ზურაბ ქარუმიძე და თამარ ფხაკაძე ემსახურებოდნენ. ამ ღონისძიების ორგანიზატორთა განცხადებით, ის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ლიტერატურული პრემია „საბას“ დამფუძნებლის თიბისი ბანკის ერთობლივი აქცია იყო.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ინფორმაცია

## ნაწარმის გამოფენა თბილისში, სამხედრო აღლუმი - ქუთაისში

**26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი ქუთაისში გაიმართება. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განაცხადა.**

**მახარაძის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ყველა უწყების წარმომადგენელი, ვისაც ეს ეხება, ერთად მუშაობს.**

**— ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ამაზე ვერავინ მიიღებდა, ეს საერთო გადაწყვეტილებაა. ყველა უწყების წარმომადგენელი ვისაც ეხება, ამ გეგმასთან დაკავშირებით ერთად ვმუშაობთ. ასე რომ, ყველა ხელმძღვანელისგან დავალება გვაქვს მიღებული, რაც გამორიცხავს იმას, რომ ეს ვინმეს ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყოს, — განაცხადა მახარაძემ.**

## ჩვენი კარაბადინი

### წიწაკა წვავს ცხიმს!



**პარდიუს უნივერსიტეტში (ამერიკის შეერთებული შტატები) ანალიზი გაუკეთეს გამოკვლევებს ცხარე და ტკბილი წიწაკების თავისებურებების შესახებ. დადასტურდა, რომ წიწაკები შეიცავენ შენაერთებს, რომლებიც თრგუნავენ მადას და ზრდიან ენერგიის ხარჯვას. მაგალითად ცხარე წიწაკა შეიცავს კაპსაიცინს, ტკბილი კი — კაპსიატს. ორივე ნივთიერებას აქვს ცხიმის მწველი ეფექტი: ზრდიან სხეულის ტემპერატურას, რის შედეგადაც აქტიურად იხარჯება ცხიმი, შიმშილის გრძნობა კი მცირდება.**

დასკვნა: თუ გსურთ გახდომა — ყველა კერძს დაუმატეთ ნებისმიერი ხარისხის ცხარე და ტკბილი წიწაკა! მთავარია — უმარილოდ და უცხიმოდ, თორემ დააგროვებთ უფრო მეტს, ვიდრე ხარჯავთ.

### გავხდეთ და დავიგდოთ წნევა

**თუ ჰიპერტონიისკენ გაქვთ მიდრეკილება და ამიტომ არ შეგიძლიათ გახდეთ ფიზკულტურის დახმარებით, მიბრძანდით აუზში!** დოქტორმა ჰიროფუმუ ტანაკამ ტეხასის უნივერსიტეტიდან აღმოაჩინა, რომ წყალში კვირაში 3-4 მეცადინეობა 45 წუთის ხანგრძლივობით 12 კვირაში 10-20 ერთეულით სწევს დაბლა ზედა და ქვედა წნევას. თუ ადამიანი ამ დროს ლებულობს თერაპევტის მიერ გამოწერილ „წნევის“ პრეპარატებს, ეფექტი კიდევ უფრო მაღალია.

ЗДОРОВЬЕ

## ჩვენი პრესდაიჯესტი

[illegible] გაზეთებიდან



### „ტრამპის ვიზიტის შემდეგ რესტორანში სააკაშვილი უგონოდ დათვრა და ფეხი იღრძო“

— უამბობს მკითხველს „ხალხის პარტიის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე, „ტრამპის წასვლის შემდეგ მოხდა ერთი საოცარი ფაქტი, როცა სააკაშვილი და მთელი მისი მთავრობა შეიკრიბნენ რესტორან „ყირამალაში“. „ყირამალაში“ მისულ სააკაშვილსა და მთავრობას იქ დახვდნენ მოქეიფე ბათუმელები და სააკაშვილმა ატეხა ერთი აურზაური, თვითმხილველის გადმოცემით, უგონოდ დათვრა და ფეხი იღრძო.

„ალია“.

### „ჩეკების გათამაშებით ხელისუფლება დიდ ფულს შოულობს“

— აცხადებს პროფესორი ლადო პაპავა, — სააკაშვილის მთავრობა კიდევ არაერთ ეკონომიკურ ხრიკს მიმართავს და საკანონმდებლო ნონსენსზეც არ იტყვის უარს იმისთვის, რომ მილიარდერ პოლიტიკურ მეტოქესთან ბრძოლაში საპარლამენტო არჩევნებისთვის სოლიდური ფული ამოქაჩოს მოსახლეობის ჯიბეებიდან და შემდგომ, წინასაარჩევნოდ გადმოგდებული კაპიკებისთვის გაჭირვებულ მოსახლეობას „მადლობა მიშას“ აძახებინოს.

„ახალი თაობა“.

### ბაზარზე რძის ფხვნილისგან დამზადებული პროდუქტების წილი 80 პროცენტია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქართულ ბაზარზე იმპორტირებული რძის პროდუქტების წილი შემცირდა, მომხმარებელს ნატურალური რძით დამზადებულ ნაწარმზე ხელი მაინც არ მიუწვდება.

სპეციალისტების თქმით, საქართველოში მოქმედი რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები, ძირითადად, იმპორტულ რძის ფხვნილზე მუშაობენ.

„რეზონანსი“.

## დაიჯესტი

# ბელინსკოელი კანიბალი

**ეს უსაზარლესი ისტორია, რომელზეც დღეს ბევრი საუბრობს, მოხდა პენზის ოლქში. მაღაზიის ქურდმა, რომელიც ნივთიერი სამხილით დაიჭირეს, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მოკლა და შეჭამა 10 კაცი.**

„მოვწიე პაპიროსი, დავლიე, გავხადე ჯინსი და დავიწყე გატყავება (№ 7 მსხვერპლისა — რედ.ძ. ტანი გავჭერი ხერხემლამდე, ის 2 ნაწილად გაიხლიჩა... ბიცეფსი და გული ორი დღის შემდეგ შევჭამე. მერვე მსხვერპლი ბებიას სახლის ზღურბლზე მოვკალი. ამ მამაკაცმა არ იცოდა, სად გაეთია ღამე. მე ვუთხარი, რომ ჩემთან შეიძლებოდა. მივედით, ის ზღურბლზე დაჯდა და მოწევა დაიწყო. მე სახლში შევედი, ავიღე ჩაქუჩი და თავში ჩავარტყი. ის შექანდა და დავარდა. ტერასაზე გავათრიე, დავაჯექი მკერდზე და დავუწყე თავში ცემა. თავისგან არაფერი დარჩენილა...“ — ეს არის 23 წლის ალექსანდრ ბიჩკოვის ხმის ჩანაწერი, რომელიც საგამოძიებო ექსპერიმენტზე გაკეთდა. ხმა არის მშვიდი და გულგრილიც კი.



ხალხმა დაკარგვა ბელინსკოეში 2009 წლიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში 17 კაცი დაიკარგა.

წელს იანვარში მაღაზიიდან ფულისა და დანების ქურდობაზე დაიჭირეს ალექსანდრ ბიჩკოვი. დაკითხვის დროს მან აღიარა 10 კაცის მკვლელობა. ამოღებულ დანებზე სამი კაცის სისხლი აღმოჩნდა. ძალოვანებმა უამბეს ჩვენს კორესპონდენტს, რომ ორი თავის ქალისგან ბიჩკოვმა თითქოს საფერფლეები გააკეთა. ჩხრეკის დროს ამოიღეს დღიური, რომელშიც კანიბალი დეტალურად აღწერდა თავის მხეცობას.

2010 წელს სამი მკვლელობის საქმის გამო, რომლებიც აღიარა ბიჩკოვმა, დააპატიმრეს ალექსანდრ ჟუპლოვიც, ფსიქიკური დაავადების ინვალიდი, მაგრამ სასამართლოზე მხოლოდ ერთის დამტკიცება შეძლეს. ამჟამად ის იძულებით მკურნალობას გადის.

„ბიჩკოვისა და ჟუპლოვის ჩვენებები ერთმანეთს ემთხვევა, — განაცხადა რეგიონული საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ოლეგ ტროშინმა. ამჟამად ეს ორი საქმე ერთ საქმედაა გაერთიანებული. და ჩვენ რამდენიმე ვერსიას განვიხილავთ: დანაშაულები ან ერთად მონაწილეობით მოხდა, ან ერთმა მათგანმა იცოდა მეორის დანაშაულის შესახებ“.

ბელინსკოე დღეს ბობოქრობს. ხალხს თავისი ვერსიები და წარმოდგენები აქვს. აიო, ალექსანდრ ბიჩკოვი ხოცავდა ხალხს თვითდამკვიდრების მიზნით, რათა რაღაც დაუმტკიცოს გოგონას, რომელიც მას მოსწონდაო. ის გაიზარდა ნაკლულ ოჯახში. მეზობლების სიტყვებით, დედა სვამდა და ახალგაზრდას პრაქტიკულად მარტო უხდებოდა უმცროსი ძმის აღზრდა. ისინი სახსრებს გამოიმუშავებდნენ იმით, რომ მარგლიდნენ ბაღებს, აგროვებდნენ ჯართს. არც წვრილმან ქურდობაზე ამბობდნენ უარს. სკოლის შემდეგ ბიჩკოვი მრავალპროფილიან კოლეჯში შევიდა, მაგრამ იქიდან მალე გავიდა აკადემიურ შვებულებაში — სცემეს მის ძმას, და მას მუდმივი ზედამხედველობა სჭირდებოდა.

სოფლელებს გამოძიებისა არ სჯერათ. როგორც პოლიციისა, რომელიც უმოქმედოდ იყო თითქმის 3 წელი, სანამ ხალხს ხოცავდნენ.

**ივან კოტელნი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**სვანი სტუმარს ასეირნებს სოფელში, კოშკებს ათვალიერებენ. უცებ სტუმარი იძახის:**

**— ვაიმე, იმ კოშკიდან ვიღაც კაცი თოფს მიმიზნებს!**

**— ჰო, მე მაგას ძმა მოვუკალი და ეტყობა სისხლის აღება უნდა, — ამშვიდებს მასპინძელი.**

**— მერე რა მეშველება?**

**— შენ არაფერი გეშველება, მაგრამ ნუ გეშინია, მაგასაც ჩამოუვა სტუმარი და...**

* * *

**მესამე მსოფლიო ომის შემდეგ გადარჩნენ მხოლოდ ერთი კაცი და ერთი ქალი.**

**მიდიან გზაზე. მოშივდათ. საჭმელი არაფერია.**

**ქალს ერთი ვაშლი ჰქონია გადანახული. ამოიღო და გაუწოდა კაცს.**

**— ო, არა! არა! ყველაფერი თავიდან იწყება.**



* * *

**სვანი ბოძს ფეხზე აყენებს და ზედ მიძვრება. ბოძი წაიქცევა. ისევააყენებს და მიძვრება და ასე შემდეგ. დაიტანჯა.**

**— რას შვრები? — ეკითხება გამვლელი.**

**— ამ ბოძის სიმაღლე მინდა გავზომო და ეგ კიდევ იქცევა, კაცო!**

**— მერე დადე მიწაზე და ისე გაზომე!**

**— მეც ეგრე ვაპირებდი, მაგრამ ჩემმა ძმამ თქვა, ეგ სიგრძე გამოვაო.**

* * *

**იცი, ჩემი ძაღლი ლაპარაკობს.**

**— ვიცი, ჩემმა ძაღლმა მითხრა.**

* * *

**ჩემი ძაღლი ეზოდან რომ ბრუნდება, ზარს რეკავს. შენი რეკავს?**

**—არა, ჩემსას თავისი გასაღები აქვს.**

* * *

**— ბიჭუნა, რატომ თამაშობ ასანთით?**

**— არ ვთამაშობ, სიგარეტს ვუკიდებ.**

* * *

**დაქალები საუბრობენ.**

**— რა ცუდად არის ეს ქვეყანა მოწყობილი, ყველაფერი, რაც მომწონს, ან მასუქებს, ან უზნეობად ითვლება! — ეუბნება გოგო თავის დაქალს.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24